№ 94

1877—1905

№ 94

ოთხშაბათი, 8 ივნისი

ოთხშაბათი, 8 ივნისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ტელეფონი № 922.

ლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

რია“.

მავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

საღამო და ბაზარი

[illegible] შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა.

დასახელებულ ბანკის რწმუნებულთა მორიგ კრების თავმჯდომარე აუწყებს ბ.ბ. რწმუნებულთ, რომ მიმდინარე კრების გაგრძელება დანიშნულია 12 ივნისს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში. (2—2)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილლუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

(30—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვების.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

[illegible]დავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ [illegible] ვაქალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. [illegible]რა-უქმით 10—[illegible]ღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვი-

კბილის ექიმი ნ. ტუშ[illegible] ფებს 9 საათიდან საღამოს 5 საა[illegible] იღებს ავადმყო-[illegible]ს ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედ[illegible] 13. სახლი

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—-ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

მ ა რ ც ხ ი

კიდევ ერთი დამარცხება შორეულ-აღმოსავლეთში—ყველაზე უფრო საშინელი და სამარცხვინო...

დაიღუპა როჟესტვენსკის ესკადრა. ადმირალი ტოგო არა ჩქარობდა მის დასახვედრად. მოთმინებით ელოდა იმ წუთს, როდესაც რუსები თვითონ გაებმებიან მახეში... და როდესაც ასეთი წამი მოვიდა,—დაკეტა მახე. სრუტეში ჩაჭერილი გემები ზოგი აფეთქებულ იქმნა, ზოგი კიდევ ტყვედ წაიყვანეს იაპონელებმა.

დეე, სპეციალისტებმა გამოკვლიონ ამ დამარცხების სხვადასხვა წვრილმანი; დეე, იმათ გადასწყვიტონ, თუ რამდენად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სხვადასხვა უფროსმა და ჯარის-კაცებმა. ჯერ დაწვრილებითი ცნობა არა გვაქვს და ამიტომ ჯერ კიდევ მეტია ასეთი კითხვების გარკვევა. **უმთავრესი დამნაშავე** კი ყველასათვის ცხადია ახლაც. დამნაშავენი არიან, ვინც როჟესტვენსკის აუსრულებელი საქმე აკისრა.

ჯარი და ფლოტი კი არ მარცხდებაო,—სწერდი ენკენისთვეში,—მარცხდება ბიუროკრატია. ახლა დამარცხებაზე ლაპარაკი არ შეიძლება... წინად თუ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ბიუროკრატიამ ვერ გამოიჩინა წინდახედულობა,—ახლა სხვა არის, ახლა ის მოხდა, რაც ყველამ წინდაწინვე იცოდა კარგად.

გაზეთებში იმთავითვე გარკვეული იყო, თუ რამდენად უიმედოა როჟესტვენსკის გამგზავრება შორეულ-აღმოსავლეთში; იმთავითვე ნაჩვენები იყო, თუ რა ხიფათი მოელის იქეთკენ წასვლას,—არა ერთხელ უწინასწარმეტყველნიათ, რომ როჟესტვენსკი დამარცხდება უთუოდ.

იცოდა ყველამ, რომ რიცხვით იაპონელები უფრო ძლიერნი იყვნენ, რომ მათი გემები უკეთესად არიან შეიარაღებულნი, რომ ისინი ბრძოლის დროს თავიანთ ქვეყანასთან ახლო არიან, რომ რუსეთის ესკადრა, მოგზაურობით დასუსტებული, დასვენებულ მტერს შეხვდება, რომ ყველგან ხაფანგი არის დამზადებული...

ამის მიუხედავად, როჟესტვენსკის ესკადრა მაინც წინ მიდიოდა, ამიტომ ძალა-უნებურად ჰფიქრობდა ზოგი, რომ ხალხმა, ალბად, არ იცის იაპონელების სისუსტე, რომ მთავრობას, ალბად, შეტყობილი აქვს მათ შესახებ ისეთი რამე, რაც სხვებისთვის დამალულიაო...

რა გამოვიდა?! სინამდვილემ ყოველ გულგატეხილ ადამიანის უიმედობას გადააჭარბა, ყოველი შიში გაამართლა საშინელის სისწორით.

ამ შემთხვევაში სიბრმავე განზრახი გამოდგა! მთავრობამ თავისი გაიტანა. მთავრობამ შეასრულა თავისი სურვილი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში გონიერებაზე დადგომა—ხალხის სურვილების ასრულებას უდრიდა.

როჟესტვენსკის გამგზავრებას შორეულ-აღმოსავლეთში ექმნებოდა რაიმე მიზანი მაშინ, როდესაც მას შეეძლო პორტ-არტურთან საშოვე[illegible] მისვლა. მაგრამ ხუთის თვით დაგვიანდა, [illegible] იმიტომ, რომ იმათში, ვისი ჯერიც იყო, [illegible] უვიცობა, უცოდინარობა, იმიტომ, რომ [illegible] საქმეში ათასმა ბოროტ-მოქმედებამაც იჩინა თავი. ცუდად შეიარაღებული, მოუმზადებელი გაემგზავრა ესკადრა აღმოსავლეთისკენ მაშინ, როდესაც უკვე დაგვიანებული იყო მისი იქ წასვლა. მას შემდეგ დრო საკმარისი იყო ამის გასაგებად, უკანვე დასაბრუნებლად.

მაგრამ ყოველივე ეს შეუძლებელი გამოდგა! მმართველთა სახელის აღსადგენად საჭირო შეიქმნა—მთელის სახელმწიფოს ბედი სათამაშოდ გეხადათ მმართველებს. უნდოდათ დაემტკიცებინათ რუსეთისთვის და კაცობრიობისთვის, რომ მმართველი წრეები არ შემცდარან, რომ წინანდელი დამარცხება—მხოლოდ მოულოდნელი მარცხი თუ იყო, სრულიად მოულოდნელი. უნდოდათ გაემართლებინათ საზღვაო და სხვა ზოგიერთი უწყება, და ბოლოს ყველასთვის შეიქმნა ცხადი, რომ ყველა ეს „უწყება“ მხოლოდ თავის თავს იცავს, თავის თავზე ჰფიქრობს.

როჟესტვენსკის ესკადრის დაღუპვა იმთავითვე აუცილებელი რამ იყო. როჟესტვენსკიმ შეასრულა თავისი მოვალეობა და ამის შედეგიც ხომ ახლა ყველასთვის ცხადია. იმას აქ აღარ ვიტყვი, მოსულია თუ არა როჟესტვენსკის რაიმე შეცდომა, იყო თუ არა კორეის სრუტე ერთად-ერთი გზა ვლადივოსტოკისაკენ, შეეძლო თუ არა იაპო[illegible]ნა. ამას დიდი მნიშვნელობაც არა აქვს იმის დასაფასებლად, რაც უკვე მოხდა, ვინაიდან ვლადივოსტოკისაკენ მიმავალ ყველა სრუტეში ბატონობენ იაპონელები: მათი უმავთულო ტელეგრაფი მოქმედობს ყველგან და ყოველგან დიდი უპირატესობა ექმნებოდათ უთუოდ. ფლოტის უფროსის ნიჭს, მეზღვაურების ღირსებას არ შეეძლო ესკადრისთვის თავიდან აეშორებინა განადგურება: რაკი ყველგან იყო გამზადებული მახე,—განა სულ ერთი არ არის, რომელ მახეში გაებმებოდა რუსების ესკადრა?

ახლა, როდესაც დაიღუპა ეს ფლოტი, როდესაც კიდევ რამოდენიმე ათასი ადამიანი შთანთქა უფსკრულმა,—უენებლად მხოლოდ საზღვაო უწყება, რომელმაც ამდენი მილიონი დაღუპა უბრალოდ!

აქ შეიძლება მხოლოდ ერთ აზრს დაადგეს ადამიანი. რუსეთის თანამედროვე წეს-წყობილება საშინლად დამარცხდა. ახლა არავითარ ძალას აღარ შეუძლია რუსეთს აღუდგინოს სახელი, რომელიც გაუტეხა მას ამ წეს-წყობილებამ... როჟესტვენსკის გაგზავნის მიზეზი შინაურ პოლიტიკის რაიმე მოსაზრება თუ იყო, ახლა ხალხის თავ-[illegible] მოითხოვს უთუოდ, რომ ამიერიდან შეუძლებელი შეიქმნეს ამნაირი „მოსაზრება“ პოლიტიკაში.

ხალხის მასხარად აღება უნდა გათავდეს როდისმე! მთავრობისაგან გამოცემულ 18 თებერვლის რესკრიპტის უარისყოფა, მისი სისრულეში მოყვანის გადადება სახიფათოა. ადამიანის ენა ვერ გამოხატავს სავსებით იმ გაკიცხვას, რომლის ღირსიც იქმნება მთავრობა, წინანდელ აპეკუნობის შერჩენა თუ მოინდომა სახელმწიფოში. მართლა თუ აპირებენ ახლავე წარმომადგენლების მოწვევას, ეს არის ის, რაც იმთავითვე უნდა ექმნა უთუოდ მთავრობას.

მაგრამ ნუ იფიქრებენ, რომ ხალხი რაღაც კუდ-მოკვეცილ წარმომადგენლობას იკმარებს ახლა!... ახლა, როდესაც ადახავსებული წეს-წყობილება დამარცხდა ზღვაში და ხმელეთზედაც, როდესაც მის მომხრეთა უკანასკნელი იმედი ზღვის უფსკრულში ჰამარხულია,—ერთად-ერთი-ღა დარჩენიათ,—დმორჩილება. იმათგან, ვინც კორეის სრუტეში ჩღუპა რუსეთის ძლიერება და სახელი, უნდა მოითხოვოს უთუოდ ხალხმა ჩამოშორება, ხელის აღება სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაზე! ეს საქმე იმათ უნდა მიენდოს, ვისაც თვით ხალხი ამის ღირსად სცნობს ახლა! ხალხის წარმომადგენლებს გზა დაუთმეთ, ჩამოდექით ახლავე!

თ. ევგენი ტრუბეცკოი.

(პრავო № 21).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივნისი.

სიმფეროპოლი, 4 ივნისი. გუშინდელ ყრილობის დროს მოკვდა ბრბოს მეაური კაიბუშკა. შეიარე მეთაური აბდურამანი ჯაინ. ყრილობის მოედანზე გუბერნატორი მოვიდა. თათრები აღელვებულნი არიან.

ბათუმი. მაღაზიები დაკეტილია. ზოგი კარ-ჩაკეტილ მაღაზიებში ვაჭრობს. გენერალ-გუბერნატორმა გაფიცულ ნოქრებს ორის კვირის ვადა მისცა მაღაზიის პატრონებთან მოსარიგებლად. ვაჭრები იარაღის შეძენის უფლებას თხოულობენ.

მოსკოვი. ნიკოლსკის დამკვიდრებულ მოროზოვის ფაბრიკებში ისევ გაფიცვაა. ფაბრიკებს კაზაკები სდარაჯობენ. მუშები სულ დათხოვნილ იქმნენ. ფაბრიკები დროებით დაკეტეს.

ბელოსტოკი, 4 ივნისი გენერალ-გუბერნატორმა უარი უთხრა მცხოვრებს რომლებიც სთხოვდნენ, ბელოსტოკში მეეზოვეთინსტიტუტს ნუ შემოიღებთო.

ნოვოჩერკასკი, 4 ივნის მუშურეთა გაფიცვა არ შეწყვეტილა. შურს მართო ოსმალო-მეპურეები ჰყავდიან, რომელთაც პოლიცია ჯარაჯობს.

ოდესა, 5 ივნისი. ტელეფონების სამმართველო ტელეფონისტ-ქალებს ვერმოურიგდა და ახალ მოსამსახურეებს ნიშნავს.

კიევი, 5 ივნისი. ქალაქის ელექტრონის ტრამვაის კონდუქტორები და ვატმანები გაიფიცნენ, მოძრაობა შესწყდა.

ეკატერინოსლავსკი, 5 ივნისი. დუბოვკაია ბალკას მაღაროებში მუშები გაიფიცნენ.

მინსკი, 5 ივნისი. ცხენის რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ. მოძრაობა შეწყვეტილია.

ტომსკი, 5 ივნისი. საეპარქიო ბიბლიოთეკის რეჟიმისა გამო, ტუსაღებმა ჭამა-სმაზე უარი სთქვეს.

პარიზი, 5 ივნისი. „ოფიციალურ გაზეთში“ დაბეჭდილია: რუვიემ მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრობა, მარლუმ კი—ფინანსთა მინისტრობაო.

პარიზი, 5 ივნისი. პრეზიდენტის დეკრეტით გარეშე საქმეთა მინისტრად რუვიე დაინიშნა, ფინანსთა მინისტრად—მარლუ.

თეირანი, 5 ივნისი. ინდოეთის ცნობებით, ავღანისტანის [illegible] ინგლისის [illegible] კომისარად ინიშნება. ასეთი დანიშვნა სპარსეთში საქმის გართულებას უქადის. სპარსეთის სასაზღვრო საბჭოს ანგარიშით, ინდოეთში შავი ჭირი ძლიერდება. 15 აპრილიდან 1 ივნისამდე 305,765 გამხდარა ავად, ამათში 260,766 გარდაცვლილა. სპარსეთში ხოლერა არა სჩანს.

ბუდაპეშტი, 5 ივნისი. ოფიციალურად გამოცხადებულია: დროებით კაბინეტის მინისტრ-პრეზიდენტად—ფეიერვარი, იუსტიციის მინისტრად—ლანიი, საგარეო მინისტრად—ვერეში, საგან საქმეთა მინისტრად—კრისტოფი, განათლების მინისტრად—ლუკაჩი, მიწად-მოქმედებისა—ჯიორჯიო, ხორვატიის მინისტრად—კოვაჩევიჩი. იმპერატორმა ფეიერვარს რესკრიპტით მიმართა, სადაც სამწუხაროდ მიაჩნია, რომ აქამომდე ახალი მთავრობა ვერ დანიშნა დეპუტატთა უმრავლესობისაგან, რადგან უმრავლესობამ ერის დამაკმაყოფილებელი პროგრამა ვერ წარმოადგინაო. იმპერატორი იმედოვნებს, რომ ახალი, პარტიის გარეშე მდგომი, მთავრობა მოახერხებს განხეთქილების თავიდან აცილებას და პარლამენტის უმრავლესობისაგან შეადგენს ახალს მთავრობას. ქვეყნის შინაგან გამგეობისა, სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფოს დაცვის შესახებ იმპერატორი უკვე დასთანხმდა [illegible] ხოლო იმპერატორის უფლებანი და მოვალეობანი იმდენად იქმნება დაცული, რამდენადაც იგი საჭიროა ორთავე სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველსაყოფელად. იმპერატორი სასიამოვნოდ მიიჩნევს, თუ ფეიერვარი განსაზღვრულ ფარგალში პარლამენტის უმრავლესობის შეერთებას შესძლებს და მთავრობას იმათგან შეადგენს. ტისსას კაბინეტის გადაყენებას სახელმწიფო მდივნის მაკფალვს, გენცენშტეინის, სანდორისა და სერენის დათხოვნაც მოჰყვა.

პეტერბურგი, 6 ივნისი. დღის 12 საათზე ფერმჰოფის სასახლეში, პეტერგოფს, ხელმწიფე იმპერატორის მიერ ცათ და მის უდიდებულესობის წინაშე წარსდგნენ პეტერბურგში ჩამოსული საერობო მოღვაწენი: 1) გრაფი გეიდენი, ოპოჩეცკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, პსკოვის საგუბერნიო ერობის ხმოსანი. 2) თავადი ლვოვი, ტულის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარე. 3) ლვოვი, სარატოვის საგუბერნიო ხმოსანი. 4) პეტრუნკევიჩი, ტვერის საგუბერნიო ერობის ხმოსანი. 5) გოლოვინი, თავმჯდომარე მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობისა. 6) თავადი დოლგორუკოვი, რუზის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და უმაღლესის სასახლის კამერჰერი. 7) კოვალევსკი—ხარკოვის საგუბერნიო ერობის ხმოსანი. 8) ნოვოსილცევი, ტამბოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. 9) როდიჩევი, ტვერის გუბერნიის, ვესიეგონის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანდიდატი, 10) თავადი შახოვსკოი, იაროსლავის საგუბერნიო ერობის ხმოსანი. 11) თავადი ტრუბეცკოი, მოსკოვის უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორი. 12) ბარონი კორფი, პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანი და 13) ფედოროვი, პეტერბურგის ქალაქის ხმოსანი. თავადმა ტრუბეცკოიმ და პეტერბურგის ქალაქის საბჭოს წევრმა ფედოროვმა მის უდიდებულესობას სიტყვით მიჰმართეს, რის პასუხადაც მისმა უდიდებულესობამ ბრძანა და ზახსა: „მოხარული ვარ, რომ გისმენთ. უეჭველი არა მაქვს, ბატონებო, თქვენ ხელმძღვანელობდით დიდის სიყვარულით სამშობლოსადმი, როდესაც თქვენ პირდაპირ მე მომმართეთ. მეც თქვენთან და ჩემ ხალხთან ერთად ვწუხვარ და ვგლოვობ იმ უბედურებათა გამო, რომლებიც რუსეთს ომმა თავს დაატეხა, რომლებიც კიდევ მოსალოდნელია. ვწუხვარ აგრეთვე შინაურ ამბოხებისა გამო, მაგრამ უკუ აგდეთ თქვენი ეჭვი. ჩემი სიტყვა—სიტყვაა მეფისა, შეუდრეკელი და მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა სახელმწიფო მუშაობისათვის უნაკლულოდ შესრულებული იქნება. მე ყოველ დღე თვალ-ყურს ვადევნებ და თავს ვადგივარ ამ საქმეს; თქვენ შეგიძლიათ ეს აცნობოთ თქვენს მახლობელ მცხოვრებთ სოფლად და ქალაქად. მე შეურყევლად მრწამს, რომ ამ განსაცდელისაგან რუსეთი განახლებული გამოვა. დაე, დამყარდეს, როგორც ძველად იყო, მეფესა და რუსეთს ხალხს შორის ერთი-ერთობა, დაე, დამყარდეს ჩემსა და საერობო მოღვაწეთა შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც რუსეთის თვით-არსებით განმტკიცებულ წესიერებას საფუძვლად დაედება. მე მრწამს თქვენი გულწრფელი სურვილი ამ საქმეში დახმარებისათვის“. ამის შემდეგ ხელმწიფემ უელა მის წინაშე წამდგარნი უმოწყალესის საუბრით გაახელნიერა.

ტანჟერი, 6 ივნისი. ამბობენ, საფრანგეთის ინსტრუქტორ-არტილერისტები, რომლებიც მაროკოს საზღვარზე იყვნენ სამსახურში, აჯანყებულთა მხარეს გადავიდნენო.

ვარშავა, 6 ივნისი. დილის 7 საათზე მოჰკლეს უბნის ზედამხედველი პოგრებოროვი. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ.

კოპენჰაგენი, 6 ივნისი. შვედ მაისს სტანწინგბო სესსია შეიკრიბა. კრებას შვედეთის პარლამენტის უმრავლესობა დაესწრო. თითქმის შეთანხმდნენ, რომ ნორვეგიის სამეფო ტახტზე მეფე ოსკარის მესამე ვაჟი, პრინცი კარლოსი მოიწვიონ. უმთავრეს პირობად კი მოსთხოვონ, რომ ნორვეგიის მთავრობამ საზღვრის ციხე-სიმაგრეები დაანგრიოს და სამედიატორო სამართალზე ხელშეკრულობა დაიდვასო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

4 ივნისი.

ლონდონი, 3 ივნისი, იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა პასუხი იაპონიის მთავრობისა რუზველტის წინადადებაზე. „მიკადოს მთავრობამ გულდასმით განიხილა შეერთებულ შტატების პრეზიდენტის წინადადება, რომელიც გადაეცა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს ამერიკის ელჩისაგან, 27 მაისს და იღებს რა მხედველობაში იმ უმაღლესს წყაროს, საიდანაც იგი მომდინარეობს, და ჰსურს რა მშვიდობიანობის ჩამოგდება სასარგებლოდ როგორც მთელის ქვეყნისა, ისე იაპონიისა, მიკადოს მთავრობა, პასუხად რუზველტის წინადადებისა, გაჰგზავნის თავისს რწმუნებულთ შესახვედრად რუსების რწმუნებულთან იმ დროს და იმ ადგილას, რომელსაც ორივე მხარე მოსახერხებლად სცნობს. ამ რწმუნებულებმა უნდა მოილაპარაკონ საბოლოოდ ზავის ჩამოგდების შესახებ. თათბირი უნდა სწარმოებდეს უშუამავლოდ, განსაკუთრებით ორ მებრძოლ მხარეთა შორის.

ტოკიო, 4 ივნისი. საფინანსო საქმეთა განსახილველად პარლამენტის საგანგებო სესსიის მოწვევა გადაიდო. მომავალში ომის განსაგრძობად ყოველგვარ საშუალებას მიკადოს ბრძანებით მოიპოვებენ. ზავის ჩამოგდებაზე აქ მცირე იმედი აქვთ. შესდგა განსაკუთრებული და დიდი პარტია, რომელიც ამტკიცებს: საჭიროა ომი რუსეთის ტერიტორიაზე გადავიტანოთ, რომ რუსებისაგან დაკმაყოფილება მივიღოთო.

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. რუზველტი ძლიერ ცდილობს, რომ დროებით მორიგება ჩამოვარდეს. მისი აზრით, კასსინი და ტაკაჰირა თავისს მთავრობის რწმუნებულებად უნდა ყოფილიყვნენ, რაც, როგორცა სჩანს, არც ერთ მებრძოლ მხარეს არ უნდა. რუსეთი მანჯურიაში ჯარის გაგზავნაზე ხელს არ იღებს, იაპონიას კი, როგორც ირწმუნებიან, ჰსურს ისე დააძაბუნოს ვლადივოსტოკის სიმაგრეები, რომ შემდეგში მათი გადათხრის მოთხოვნა სრულიად დასაბუთებული იყოსო.

პარიზი, 3 ივნისი. შეერთებული შტატები, საფრანგეთი და გერმანია იაპონიას ზომიერებას ურჩევენ. ინგლისი კი არავითარ რჩევას არ იძლევა. იგი ამბობს: იაპონია, როგორც გამარჯვებული მხარე, სახელმწიფოებმა თავისის რჩევით არ უნდა შეავიწროვონო.

ბერლინი, 4 ივნისი. ბერლინში მყოფმა იაპონიის ელჩმა ინუემ განაცხადა: მოლაპარაკებას მაშინ მოჰყვება სასურველი შედეგი, როდესაც რუსეთი ნამდვილ რწმუნებულებს დანიშნავს, ვრცელი უფლებებით სწორედ ამგვარ რწმუნებულთ ელის იაპონია და მარტო ასეთ რწმუნებულთ შეატყობინებს თავისს მოთხოვნილებათაო.

პეტერბურგი, 4 ივნისი. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენერალ ლინევიჩისა. პირველი, 2 ივნისის თარიღით: „ჩვენმა რაზმმა მდინარე სუნხეს ხეობაში რამდენიმე იაპონელი ჯარის კაცი შეიპყრო. ეს ტყვეები ამბობენ, იაპონიის მთავრობის განკარგულებით, ჯარის კაცთ ბრინჯის მიცემა შეუმცირესო; ამას გარდა, იაპონელებს საინდენდანტო მასალები და პატრონები აკლიათო“. მეორე, 4 ივნისის თარიღით: იაპონელთა ქვეითა ჯარის მოწინავე რაზმებმა ჩვენს მოდარაჯე რაზმებზე რკინის გზის თასავლეთით იერიში მიიტანეს. ჩვენმა რაზმებმა პალიატიუნის სამხრეთად დაიწყეს. უკან იაპონელთა ორი როტა მოსდევდა,

გონძიადანი, 4 ივნისი. დღეს იაპონელთა ქვეითა ჯარი ჩვენს მოდარაჯე რაზმს რკინის გზასთან მოსვენებას აღარ აძლევს. ჩვენმა რაზმმა, რომელიც პალიატიუნის სამხრეთად იდგა, ბრძოლის შემდეგ, ჩრდილოეთისკენ დაიწია. და-

სავლეთ განაპირა ფრთაზე რიყრაყიდან დილის ცხრა საათამდე სროლა ისმოდა. აღმოსავლეთ ფრთაზე ჩვენი ცხენოსნები და მოხალისენი დიდად ავიწროვებენ იაპონელთა მოწინავე რაზმებს, რომლებიც თხრილებს ეფარებიან.

მოსკოვი, 4 ივნისი. მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლს გენერალმა კუროპატკინმა დეპეშა გამოუგზავნა, რომელშიაც მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ერობანი და ქალაქები ცდილობენ, ზავი ჩამოვარდეს მაშინ, როდესაც გენერალს სრული იმედი აქვს რუსეთის გამარჯვებისა.

5 ივნისი.

გოძიადანი, 4 ივნისი. ლიაოიავოპინთან მცირე შეტაკება მოხდა. ჩვენმა ჯარმა პატარა სოფელი აიღო, ლიაოიანვოპინიდან სამ ვერსის მანძილზე მდებარე და აქედან იაპონელთ წინააღმდეგობა გაუწია. ბრძოლა ღამის 11 საათზე დაიწყო. დილის 8 საათზე შეტაკება გათავდა, რადგან იაპონელნი მიიმალნენ.

პარიჟი, 5 ივნისი. 3,000 ჩინელი იაპონიაში საფიცრო კურსებზე შევიდა. ჩინეთის წყლებში მდგომ ინგლისის გემების უფროსებს ინგლისის მთავრობამ უბრძანა, თუ საჭირო იქმნება, ძალით დაიცვან ინგლისის სავაჭრო გემები რუსეთის მაშველ კრეისერების თავდასხმისაგანაო. —თუ რუზველტის წინადადება არ ასრულდა, იტალიასა, გერმანიასა, ავსტრიასა და შეერთებულ შტატებს აზრად აქვთ, რუსეთსა და იაპონიას შორის ზავის ჩამოსაგდებად შუამდგომლობა იკისრონო.

7 ივნისი.

ტოკიო, 6 ივნისი. მინისტრთა და სხვა ოფიციალურ პირთა თათბირი დილის 9 საათზე დაიწყო მინისტრ-პრეზიდენტ კატცურის სახლში. ეჭვს გარეშეა, რომ თათბირი ზავს ეხებოდა. დამსწრეთა შორის იყო: იტო, იამაგატა, კომურა, იამამოტო, ტერაუჩი, ინუე და მაცუკატა.

შანჰაი, 4 ივნისი. „სენტ-კილდას“ დაღუპვის გამო, გაზეთი „მერკური“ შენიშნავს, რომ კრეისერ ,,დნეპრს'' შეიპყრობენ და ინგლისის ნავთსადგურში მიიყვანენო. ოფიცრები სამართალში მიიცემიან, როგორც ზღვის ყაჩაღებიო.

ტოკიო, 5 ივნისი. ლინევიჩი სიპინგაისს თავის გენერლებს ეთათბირა. კუროკის მოწინავე რაზმები რუსებიდან შვიდ მილ-ნახევარზე სდგანან. ამ მიდამოებში რუსებს ერთი დივიზია უდგათ 20 ზარბაზნით. რუსებმა მონგოლიაში არტილერიისთვის ბინა დაიდეს. ეს ჩინეთის უხერხულობას მოასწავებს, ცხადია ვერ მოახერხეს ნეიტრალიტეტს დაცვაო. პეკინის მთავრობა ჰშიშობს, რუსეთმა მონგოლია არ დაიჭიროსო.

ვლადივოსტოკი, 5 ივნისი. ციხე-სიმაგრის არტილერია მოვიდა. ახალ სიმაგრეებს სწრაფად აშენებენ, ძველებს—ამაგრებენ. სახალინის ჯარს საშველად არტილერია გაუგზავნეს. ამ არტილერიის ნაწილი კორსაკოვკაშია,

გოძიადანი, 6 ივნისი. იუწყებიან, რომ [illegible] და სიმიაჩენი ისევ ხელში ჩაიგდეთო.

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. ჩინეთისა და იაპონიის წარმომადგენელთ გუშინ ვაშინგტონში მანჯურიის შესახებ თათბირი ჰქონდათ. როგორც „გერალდი“ იუწყება, იაპონია დიდს კონტრიბუციას ითხოვს, რის გირაოდაც მანჯურიის რკინის გზას აიღებს. ეს გზა იაპონიის კონტროლს უნდა დაექვემდებაროსო.

ტოკიო, 5 ივნისი. (დეილი-ტელეგრაფი) კუროკის მოწინავე რაზმები 7 მილ-ნახევარზე დაუახლოვდნენ რუსებს. ერთი ქვეითა დივიზია და ოცი ზარბაზანი აქვთო.

გოძიადანი, 4 ივნისი. საფიქრებელია, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების დასაჩქარებლად იაპონია მთლიანს იერიშს მიიტანს მტერზე. როდესაც ბალტიის ესკადრა მიუახლოვდა, იაპონელებს სანოვაგე შემოჰკლებოდათ. მეზღვაურთა ულუფა განახევრეს. ტყვია-წამალს და პატრონებს ზომიერად ხმარობდნენ.

პეტერბურგი, 5 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დღეს შეუთვალა ამერიკის ელჩს: რუსეთი თანახმაა, რომ რუსეთ-იაპონიის რწმუნებულნი ვაშინგტონში შეხვდნენ ერთმანეთსაო.

ტოკიო, 6 ივნისი. ოფიციალური. 3 ივნისს ბრძოლის ველი ამ სანახაობას წარმოადგენდა: ლიაონჯუნტენის მიდამოებში იაპონიის 300 ცხენოსანი კუისუსა და სუმიაძის მხარეს გაემართა, რუსების ჯარი გაჰფანტა და სუმჩენშენი დაიჭირა. რუსებმა ჩანტუფუსკენ დაიწიეს. დაძიატუნის მიდამოებში, სუხაძისთან, იაპონელებმა რუსის ცხენოსანი ჯარი გაჰფანტეს და სუხაძი დაიჭირეს, სუმჩენშენის დასავლეთით 12 ვერსზე. კანპინის მიდამოებში იაპონიის შუა ჯარმა რუსეთის მოწინავე ცხენოსან რაზმს უკან დააწევინა და მარჯვედ სდევნიდა. შემდეგ რუსების პოზიციებზე ლიაონჩჟუნტენის სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით იერიში მიიტანა. მარჯვენა ფრთამ რუსეთის ცხენოსანს უკან დაახ[illegible] და ლოხუანხუ სწრაფად დაიჭირა, ლიაო[illegible]ტენისა და მაძიაპუს აღმოსავლეთით 23 [illegible] მოშორებით. მარცხენა ფრთამ საშინელი [illegible] აუტეხა რუსის ცხენოსან რაზმს, დიდი [illegible] მიაყენა და ჩრდილოეთისკენ დაახევინა. როგორ[illegible] ტყვეები ამბობენ, რუსებს 5000 ქვეითა ჯარი და 1000 ცხენოსანი [illegible], 20 [illegible]. რუსებს მიშჩენკო უძღოდა წინ. რუსებმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ დაიწიეს. რუსებს სურსათის ნაკლებულობა აქვთ. დავლად 500 ტომარა ხორბალი დაგვრჩა. იაპონელებმა 30 აფიცერი და 185 ჯარის კაცი დაჰკარგეს, მოკლული თუ დაჭრილი. რუსების ზარალი არ იციან. იაპონელებს შუა რაზმში 80 ცხენი მოუკლეს, მარცხენა ფრთაზე—12.

პეტერბურგი, [illegible]ალური. უქვეშევრდომილესი დეპეშა ინფან[illegible] გენერალ ლინევიჩისა მის იმპერატორებით [illegible]დიდებულესობის სახელზე: 1) 1905 წლის 4 ივნისის თარიღით: „3 ივნისის ბრძოლას, რომელიც გაგრძელდა ღამის 2 საათიდან დილის 8 საათამდე ლიაონჯუნტენთან, ჩვენმა რაზმმა კარგად გაუძლო. მტერი ძლიერის ქვეითა ჯარით და [illegible]არის ბატარეით ლიაონჯუნტენთან 5 ვერსის მანძილზე სამხრეთიდან მოუახლოვდა. რა წამს ლიაონჯუნტენიდან 3 ვერსის მანძილზე მდებარე სოფელი დავიჭირეთ, რაზმის ერთმა ნაწილმა იაპონელებს გზა გადაუღობა. 4 საათზე ჩვენმა ზარბაზნებმა ხშირი სროლა აუტეხეს მახლობელ დისტანციას. დილის 6 საათზე იაპონელები წავიდნენ და შე[illegible] ფრთეს უვლიდა ერთი ბატალიონი სამის ესკადრონითა და ერთის ბატარეით, რომელმაც ყუმბარები დაუშინა. რაზმის ერთი ნაწილი ბატარეიას მიეშველა და იაპონელებს სროლა შეაწყვეტინა. დილის 8 საათზე მოგვივიდა ცნობა, რომ ჩვენს მარჯვენა ფრთეს უვლიდა ქვეითა ჯარის ერთი პოლკი, 23 ესკადრონი და არტილერია. ამან რაზმის უფროსი აიძულა ლიაონჯუნტენის პოზიციებისთვის თავი დაენებებინა, რომ როგორმე მარჯვენა ფლანგი მეგოვილიყო და იერიშისათვის მომზადებულიყო. იაპონელთა ც[illegible]ანმა შეაყენა ეს მოძრაობა და მერე დაიმალა. ქვეითა ჯარის ძლიერი კოლონები კი ლიანჯუნპენში შევიდნენ. გამოირკვა, რომ მტერი მოდის ქვეითა ჯარის ერთის დივიზიით, 30 ესკადრონით და 4 ბატარეით. დილის 10 საათზე იაპონიის 3 (?) ესკადრონისაგან შემდგარმა კავალერიამ სიმიანჩენი დაიჭირა, მაგრამ იქ მდგომმა რაზმის ერთმა ნაწილმა ისევ გაჰყარა და ამრიგად ძველი მდგომარეობა ისევ დაიბრუნა. 3 ივნისს, გათენებისას, რკინის გზის აღმოსავლეთით, იაპონიის როტამ იერიში მიიტანა ჩვენს სადარაჯო რაზმზე, რომელმაც სროლით უკან დაიწია. 6 საათზე მოხალისეთა რაზმმა ეს სადარაჯო ადგილი უკან დაიბრუნა. კორეაში, 2 ივნისის ცნობებით, მტრის რაზმები ხენგშანის და ნუსინისკენ გაემართნენ.—2) 1905 წ. 5 ივნისი: „ჯარში არავითარი ცვლილება არ მომხდარა“.

ვაშინგტონი, 5 ივნისი. რუზველტი ცდილობს—იაპონია დროებით ზავის ჩამოგდებაზე დაითანხმოს.

ტოკიო, 6 ივნისი. პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ მალე ზავი შეიკვრება. პოლიტიკურ პარტიების მოთავეებმა გადასწყვიტეს ზავის შესახებ მოლაპარაკების გათავებამდე აღარ იმოქმედონ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი და მისი პირობები. 25 მაისს, ხელმწიფის თავმჯდომარეობით, კრება მოხდა ზავისა და რუსეთის შინაურ საქმეების შესახებ. ომის გაგრძელება კრების არც ერთ წევრს არ მოუთხოვია. კრებას დაესწრნენ: ადმირალი ალექსეევი, [illegible], სასახლის მინისტრი ფრედერიქსი, პოლიციის მინისტრი ტრეპოვი, სახელმწიფო კონტროლიორი ლობკო, გენერალი გრიპენბერგი, ადმირალი აველანი, ადმირალი დუბასოვი და სამხედრო მინისტრი სახაროვი (ს. ო.).

ლამზდორფს რუსეთის ყველა ელჩისთვის შეუტყობინებია, რუსეთი მზად არის მანჯურიიდან ჯარი გაიყვანოს, პორტ-არტურს თავი დაანებოს და აღიაროს, რომ იაპონიას კორეაში რუსეთთან უპირატესობა ეკუთვნის. რუსეთი უარს ამბობს კონტრიბუციის გადახდაზე, ვლადივოსტოკის დანგრევაზე და შორეულ-აღმოსავლეთში ფლოტის უქონლობაზე (რ. ვ.).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: რუსეთი იაპონიას ერთ-ნახევარ მილიარდ ფრანკს გადაუხდის და პორტ-არტურიდან ხარბინამდე რკინის გზას დაუთმობს. რუსეთის მთავრობა თანდათან რწმუნდება, რომ ზავი აუცილებელია. მას ზავი უმთავრესად იმისთვის უნდა, რომ აქ, შუაგულ რუსეთში, ხელები გაეხსნას და ადვილად ჩააქროს ეხლანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა. ასეა თუ ისე, ზავის [illegible] (ს. ო.)

„ნ. ფრ. პრ.“-ს აზრით, იაპონია არც ისე დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთს რამდენისამე წლის განმავლობაში დიდ ოკეანეში ფლოტი არ ჰქონდეს. არ მოითხოვს იმიტომ, რომ უამისოდაც 10—15 წლიწადს რუსეთი ვერც ერთ გემს ვერ გაგზავნის შორეულ აღმოსავლეთში. აბა, რა უნდა გაგზავნოს, რაც აღარ აქვს-რა?—კითხულობს გაზეთი (რ. ვ.).

იაპონელებს ზავი არ უნდათ. პარიზის გაზეთებს ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონიის საზოგადოების აზრით, ზავის ჩამოგდება ნაადრევია. ამჟამად ოიამას 600 ათასი მებრძოლი ჰყავს; 200 ათასი კაცი იაპონიაში იცდის და, დღეს თუ ხვალ, ვლადივოსტოკისა და სახალინის ასაღებად გაეგზავნება. ამის გამო, იაპონელების აზრით, ოიამამ ჯერ ერთხელ კიდევ უნდა დაამარცხოს ლინევიჩი და მხოლოდ ამას შემდეგ დავიწყოთ ზავზე ლაპარაკიო. ზოგნი დაჟინებით თხოულობენ, ჯერ ლინევიჩი დავატყვევოთ, ვლადივოსტოკი და სახალინი ავიღოთ და მერე ზავიც ჩამოვაგდოთო (რ.).

დიდი წინააღმდეგია ზავისა იაპონიის პარლამენტის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი და ახლანდელ ოპოზიციის მეთაური, გრაფი ოკუმა, რომელიც დაჟინებით თხოულობს ომის გაგრძელებას. იაპონიის მეორე სახელმწიფო მოღვაწე, საზღვაო მინისტრად ნამყოფი—კაკოში პროტესტს აცხადებს ზავზე ლაპარაკის დაწყების გამო. კაკოშის აზრით, ზავზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იაპონელები რუსეთის ტერიტორიას—სახალინსა და ამურის ოლქს—დაიპყრობენ. დროებით შერიგებაზე და ომის შეჩერებაზე ფიქრიც არ შეიძლება (რ.).

იაპონიის დანარჩენი მოღვაწენიც ამტკიცებენ, ზავის შესახებ მხოლოდ მაშინ უნდა დავიწყოთ ლაპარაკი, როცა რუსეთი სამუდამოდ და საბოლოოდ დამარცხდებაო (რ. ვ.).

„ფოსიშე ცაიტ.“-ი სწერს: რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ ომი წაგებულია და ამიტომ თავს ანებებს ომის დასაწყისს გამოთქმულ გადაწყვეტილებას—„იარაღს მხოლოდ მაშინ დავყრით, როცა „ვერაგი“ იაპონია დამარცხდებაო“ (რ.).

პროგრესიული იაპონური გაზეთი „ხოჩი“ გათავება დააპირა, იაპონიის ხალხი მთავრობას წინ უნდა აღუდგეს და ამის ნება არ მისცესო (რ. ს.).

„ბერლ. ტაგ.“-ს არ სჯერა ზავის მოახლოვება. რუსეთის მთავრობას გულში მაინც უღვივის გამარჯვების იმედი—სწერს გაზეთი—და იმავე დროს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ხალხს არაფერი დაუთმოს.

რის იმედი აქვთ რუსებს? ცნობილ გენერალს მეკკელს ,,ნ. ფრ. პრ.“-ს თანამშრომლისთვის უთქვამს: რუსეთს ვურჩევ ეხლავ ზავი ჩამოაგდოს, თორემ მერე, როცა იაპონელები ვლადივოსტოკსა და სახალინს აიღებენ, ზავის პირობებსაც მოუმატებენ.

საკვირველია რუსეთის კერპობა! აქამდის ვერ დარწმუნდა, რომ იმის საქმე წასულია. იაპონიის ჯარი რიცხვით რუსეთის ჯარზე მეტია, სიმამაცით, განათლებითა და სიმხნევით—შედარებაც არ შეიძლება. მაშ რიღას იმედი აქვთ? რუსები ამბობენ, იაპონიას ბოლოს და ბოლოს ხალხი გამოელევაო. საცინელია ღმერთმანი! სანამ იაპონიას ხალხი გამოელეოდეს (ან როგორ უნდა გამოელიოს, როცა რუსებს ყოველ ბრძოლაში იაპონელებზე ერთი-სამად მეტი ზარალი მოსდით?), რუსეთის შინაური წყობილება ასჯერ გადატრიალდება. აი, სწორედ ამაზე ითქმის, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

რუსეთის მთავრობას იმედი აქვს, იაპონელები ციმბირში გადმოვლენ და ის დღე დაადგებათ, რაც ნაპოლეონს დაადგა. ესეც ტყუილია. იაპონელები ციმბირში არ გაჰყვებიან რუსებს (ნ.).

„რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველიც ამტკიცებს, იაპონელები აღარ შესცდებიან, ნაპოლეონისა, კარლოს XII-სა და პეტრე დიდის შეცდომებს არ გაიმეორებენ და ციმბირში არ გადმოვლენო.

რუსეთის სარდლების პროტესტი. 28 მაისს მანჯურიის ჯარების ყველა სარდლებმა—კუროპატკინმა, ლინევიჩმა, სახაროვმა, რენნენკამფმა და ყველა იმ გენერლებმა, რომელნიც ათ-ათჯერ მაინც დამარცხებულან,—ხელმწიფეს დეპეშა გამოუგზავნეს და პროტესტი გამოაცხადეს, ჩვენ აქ გამარჯვებას ვაპირობთ და რუსეთი კი ზავს თხოულობსო. გენერლები თხულობენ, ცოტა დაგვაცადეთ და უეჭველად გავიმარჯვებთო. ამ თხოვნის გამო „ნ. ფრ. პრ.“ სწერს: საკვირველი ამბავი ხდება: იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა და თვითონ რუსეთის მთავრობაც მებრძოლთა შერიგებას აპირობენ, რუსეთის გენერლები ყოყოჩობენ და ჩხუბის გუნებაზე არ[illegible] ან, თითქო არც [illegible] ჯერ ერთხელაც არ [illegible] ერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი უნიჭობა და უვარგისობა. რის იმედი აქვთ ამ გენერლებს? რას ჩხავიან ბოლო-მოგლეჯილ ყვავებივით? ბოლოს გაზეთი ურჩევს რუსეთის გენერლებს, სანამ ცოტა ჯარი მაინც შეგრჩენიათ, გირჩევთ გაჩუმდეთ და აიბარგოთ, თორემ მერე გვიან-ღა იქნებაო (ნ.).

ადმ. ნებოგატოვი. ტოკიოდან იუწყებიან: ადმირალი ნებოგატოვი არავის ეკარება და მთელ საათობით ფიქრობსო. ექიმები ამბობენ, ნებოგატოვი, დღეს თუ ხვალ, „ჭკუიდან“ შესცდებაო (ნ.).

ნებოგატოვის წერილი. ადმ. ნებოგატოვს, სანამ რუსეთიდან წავიდოდა, რეველიდან წერიპირ უთქვამს, არც ჩვენი გამარჯვებ[illegible] არც ჩვენი მეზღვაურებისა მჯერა რამეო. „არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო ასეთ ხალხით; ესენი ეხლავე დაიბნენ. ზოგნი სულ ტირიან, ზოგნი კი შიშისაგან კანკალობენ'' (რ. ს.).

იაპონელების პროტესტი. ტოკიოდან იუწყებიან: მთელი იაპონია პროტესტს აცხადებს დროებით შერიგების გამო. იაპონელები ამბობენ: ლინევიჩი ახლავე მომწყვდეულია და უეჭველად დამარცხდებაო, და თხოულობენ, რუსეთის მიწაწყალიც უნდა დავიპყროთო (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

სოხუმი, 5 ივნისი. ამ უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში დღეს პირველად სწირეს აქ ქართულად. დედანის სმენამ გაახარა ყველა ადგილობრივი მცხოვრები. ეკლესია ხალხს ვერ იტევდა.

ქუთაისი, 6, ივნისი. ქალაქის საბჭოს კერძო სხდომაზე გადასწყვიტეს, გაეგზავნოს პეტერბურგს ქალაქის მოურავთა კრებაზე დ. ღორთქიფანიძე და ხმოსანი ზდანოვიჩი. ესენი ხვალვე მიემგზავრებიან პეტერბურგისკენ. საბჭოს კომისიამ მიიღო გველესიანის მოხსენება. ამ გადაწყვეტილებას ხვალ წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად.

ყარსი. ღრმად აღშფოთებულნი ვართ 31 მაისს მომხდარ შემთხვევის გამო. იმედი გვაქვს, რომ სასტიკი და მიუდგომელი გამოძიება აღმოაჩენს დამნაშავეთ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, და რომ მათის დასჯით დაამშვიდებენ ადგილობრივ საზოგადოებას. თანაგრძნობას ვუცხადებთ ამ შემთხვევაში მღვდლებს.

ფელეტონი

გარიყული

არავინ იცოდა—ვინ იყო ის, სადაური, რომელ კუთხიდან გამოერიყა ცხოვრების ტალღას, ან რომელ ერს ეკუთვნოდა.

ლაპარაკი ყველა ენაზე ეხერხებოდა. მხოლოდ ამით შევატყობდით, რომ მას ქვეყნის ყველა კუთხე დაევლო.

ლოთი და მაწანწალა იყო, მაგრამ ამასთან ამაყი, შეუპოვარი, დამცინავი. ყოველს კითხვაზე ირონიით გვპასუხებდათ, ან ამასაც არ გვღირსებდათ. მას ყოველივე იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ეს მის კარგს, ან ცუდ გუნებას შეეხებოდა. გაჯავრებაც იცოდა მან., სხვის გაჯავრებისა კი არ ეშინოდა. იცინოდა, მხოლოდ მაშინ, როცა ვისიმე დასცინოდა. მარტოობის დროს მუდამ მწუხარე, დაფიქრებული სახის გამომეტყველება ჰქონდა, თითქო სამოთხის გზა დაუკარგავს და შუბლით მონგრეულ კლდეს მიჰყრდნობია და, ეს-ეს არის, უნდა ჩაიქცესო. მაგრამ შეეხებოდით, თუ გამოელაპარაკებოდით, თავისებურის სიამაყით გადმოგხედავდათ და გულის საიდუმლოებას ულმობელის დაცინვით შეგილახავდათ. იქ, სადაც ძვირფასი მარგალიტები გეგულებოდათ, შავს ლაქას და შავს ხაზს დაგანახვებდათ.

ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო.

პირველად რომ ვინაობა ვკითხე, გაიღიმა, ალმაცერად გადმომხედა და თავისებურის კილოთი მიპასუხა:

— ჩემს ვინაობას კითხულობთ?.. მე კი ძალიან კარგათ გიცნობთ!.. გნებავთ, თქვენი ცხოვრებიდან ცოტა რამ გიამბოთ?

— არა! მე მინდა თქვენი ვინაობა გავიგო!

— კეთილი!.. მაგრამ ნუ თუ მაგის განმარტებაც საჭიროა?

— რატომ... მაინც საყურადღებოა ვიცოდეთ, ვინა ხარ?

— მე შენი ძმა ვარ!.. არა თუ?!.

— კი... ჩვენ ყველანი ძმები ვართ!—ვუპასუხე მე,—მაგრამ...

— მაგრამ... თქვენ თქვენს ძმიას კი არ იცნობთ... კეთილი კაცი ყოფილხართ, თუ ახლა მაინც მოინდომეთ მისი გაცნობა... ბევრი ჩემი თანამოძმე ამ ღირსებასაც მოკლებულია... სამწუხაროა, მაგრამ... არც იმდენად, რადგანაც ყველას თავის საზღვარი აქვს...

უცებ ლაპარაკი შესწყვიტა და თვალებში ჩამაშტერდა, თითქო იქ უნდა ამოეკითხა ჩემი ნამდვილი გულის ნადები.

თვალი მოვაშორე, მიწაზე მცოცავს, რაღაც მწერს დავაცქერდი.

— აა, გეტყობათ, ეგ უფრო საინტერესოდ მიგაჩნიათ!—შენიშნა მან.

— სრულიადაც არა!—ვუპასუხე მე და თავი მაღლა ავიღე.

— იქნება, ჩემი ლაპარაკი არ გესიამოვნათ! არა!?

— ძალიან სასიამოვნოც არის,—ვარწმუნებდი მე...

— ვეჭვობ! თუმცა მაინც მსურს განვაგრძო... იმიტომ კი არა, რომ გაგაჯავრო ან გასიმოვნო, გარწმუნებ! ჩვენი ახლანდელი შეხვედრა ამ ორის უარყოფის შედეგია: თუ პირველს—ვისიმე გაჯავრებას—ავირჩევდი, აქამდე სახალინის მაღაროებში გავიხრწნებოდი და თუ მეორეს—სხვის სიამოვნებას—დღეს სახელმწიფოს საბჭოს წევრი ვიქნებოდი.

— მაშ კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა! მივუგე დაბალის ხმით.

— ჩემთვის სულ ერთია! კეთილი იქნება, თუ არა, ჩვენი შეხვედრა... ჩემი ძმიების წყალობით, მე ყველაფერი ჩვეულებად გადამექცა. ადამიანი, იმის ადამიანია, რომ ყოველ ჭირს გაუძლებს. აი, მაგალითიც: ერთი ამხანაგი მყავდა. ბუნებით მართალი და ამასთანავე შრომის მოყვარე იყო. სძულდა ყველა ქურდი, ავაზაკი, კაცის მკვლელი. სძულდა—ვისაც შრომა არ უყვარდა. სუსტთა და დავრდომილთ ეხმარებოდა, თავის ლუკმას შუა უყოფდა. ძმის ფასი და მეგობრის პატივისცემა იცოდა. ლუკმას ისე არ შეჭამდა, რომ სხვისკენ არ მიეხედნა. მეტად გულჩვილიც იყო. კაცის ჭრილობის დანახვაზე გული უწუხდებოდა. ცოლი და ხუთი ბავშვი ჰყავდა, უსაზღვროდ უყვარდა, შეჰხაროდა, თავი ბედნიერად მიაჩნდა. გავიდა დრო. ორი შვილი ომში მოუკლეს. ორი ქარხანაში მანქანამ დააშავა. ერთიც უკვალოდ დაეკარგა. ცოლიც ჭლექმა მოუკლა... შეეჩვია უბედურებას. მხნედ შრომობდა, ჩვეულებრივად. მისი სასოება და იმედი, შეურყეველი, სალ-კლდეს მოაგონებდა.

ერთხელ დაიჭირეს, არ ვიცი კი, რადა. მოსყიდული არა ვარ, რომ უბრალოდ გამოვესარჩლო.. მაგრამ ვიცი, რომ ათი წლის შემდეგ გაანთავისუფლეს. ადამიანის სახე აღარ ედო, სამარიდან ამოღებულსა ჰგავდა. საპყრობილე ცოცხალთა სამარეა. იქ იმარხება ადამიანის სული.

— ჩემო ფილიპე! როგორა ხარ? პირველ დანახვაზედვე შევეკითხე ჩემს ძველ მეგობარს და მოვეხვიე.

— აღარა ვარ!.. მოხუცდი! მიპასუხა და წასვლა დააპირა.

— ველარ მიცანი?

— გიცან.—მოკლედ მომიგო მან და თითებზე რაღაც ანგარიში დაიწყო.

— დიდი ხანია განა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს?

— ჰო, დიდი! ათს წლიწადზე მეტი!—მიპასუხა ცივად, როგორც ჩრდილმა.

— მიამბე რამე შენის ტყვეობისა!

— რა გიამბო!—დაიწყო გაუბედავად,—პირველად კი ძნელი ასატანია. მახსოვს, ბევრი ტანჯვა განვიცადე... მერე კი შევეჩვიე და... ვცდილობ ისევ მიმიღონ. ძალიან უდარდელად ვცხოვრობდი. არც ჩემ თავზე არც სხვაზე ზრუნვა არ მაწუხებდა. ზიხარ შენთვის გამომწყვდეული და ფიქრობ: ფილიპე, წყალს რომ ეშურები, სად? ვისთან? რა დაგრჩენი? აქ რომ აღარ მოგიყვანენ? ხომ მოკვდი სიშილით? ხომ იცი, გზა არსაით გაქვს. ცხოვრო და ლუკმა-პურიც გაქვს!—დააბოლოვა და გვერდზე ცქერა დაიწყო. თვალებში მივაჩერდი. [illegible], ცოცხალი და მეტყველი თვალები დაწვრილებოდა... სადღაც შორს, ბანჯგვლიან წარბებ ქვეშ ჩამძვრალიყო და სევდიანად გამოიყურებოდა. თითქო ენანება ან დასცინის შენს არსებობასაო. სახესა და თმას ერთი ფერი დასდებოდა. გათეთქვილი, გაჭაღარავებული, სანთლის ქანდაკებას უფრო გავდა, ვიდრე ადამიანს.

— ძველებურ შრომას ვერ შეიძლებ? იქნება, თავის რჩენაც გიჭირ?—შევეკითხე.

— არა!—მიპასუხა ამაყად. მის პასუხში გაკვირვება სჩანდა. ჯიბის ჩხრეკას შეუდგა. გაიცინა და მითხრა:

— უნდა შენთვის მეჩვენებინა, მაგრამ შინ დამრჩენია.

სთქვა და ხელმეორედ მოჰყვა ჯიბისა და უბის ჩხრეკას. ცოტა ხნის შემდეგ უბიდან გამოაძვრინა ოთხად დაკეცილი ბარათი, გაიღიმა და მომაწოდა.

— ჯალათის ხელობა დავიწყე!

— ჯალათის?! შევეკითხე და თან შევშინდი, თითქო ეს არის, მეც თავს მომჭრის-მეთქი.

— ჰო, რა არის მერე? ეს ქაღალდი იმის მოწმობაა. რათ გიკვირს? ესეც ხელობაა. მაშ იმდენ ავაზაკებს რა უნდა უყონ? გამოვლენ და თვითონ შენვე დაგახრჩობენ!

— მე მაგას ვერ ვიზამ! საზიზღრობაა, იგივე ავაზაკობაა!—სიბრაზით დავუყვირე.

— პირველად მეც მეუცხოვა. კისერზე რომ ყულფი გადავაცვი და ფეხებიდან დავწიე, მე მეგონა ჩემ თავს ვიხრჩობ-მეთქი, გულიც წამსვლოდა, მაგრამ უფროსმა სიცილით, თავის ხელით გადმომცა თუმნიანი. ზოგჯერ ხუთი თუმანიც მიმიღია. შემდეგ მდევიც რომ შემხვედროდა, ორ წუთში გავათავებდი. აი, ახლაც მიბარებენ! ერთი თვის სახარჯო მზათ არის! ნაღდია!

ყოველ სიტყვაზე პაწია თვალებს ჯუჯრუტანებში შავ წერტილებივით ათამაშებდა და ნაცრის-ფერ ულვაშებზე კმაყოფილებით ხელს ისვამდა. დავრეტიანდი, თავბრუ დამესხა, თითქო კეტი დამარტყა-მეთქი თავში და ცივად გავშორდი.

მას შემდეგ ამ ჩემს გზას არ გადავცდენილვარ და, ეტყობა, არც იმას უღალატნია თავის რწმენისათვის, თორემ შევხვდებოდით სადმე, რადგან თავიდან საერთო გზა გვქონდა...

— მგონი, მოსაწყენი არაკი იყო, არა? შემეკითხა და დაუმატა: თქვენ,—მოსტყუვდით, რომ თავიდანვე პირი არ ამარიდეთ!..

— არა! მიუხედავად მაგისა, თქვენ მაინც...

— კითხვას გადავცდი, განა? შემეცილა ლაპარაკში—მაგრამ, როდესაც ჩემი თავი განსხვავებულად წამოგიყენეთ, ჩემთავად მოთმინების საზღვარი გავამაგრე. იცით! არის ისეთი კაცი, რომ [illegible] რომ ვერ მოითმენს: იმისი ფეხის [illegible] ქვეყანა დაიქცეს, არ შეძვრება. [illegible] არის კაცი, რომ დღე-ღამ[illegible] ჯოხითა სცემს. თქვენობით, წლობით, [illegible] ათას წლობითაც. სცემს, სანამ შეუძლია—ამისი მოთმინება აქვს!..

— მართალია, მაგრამ—თქვენს ვინაობას ეგ არ შეეხება. მე მინდა თქვენი ვინაობა გავიგო.

— მე ჩემის ვინაობით თქვენს თვალწინა ვდგევარ. მე და ჩემი სიტყვები ერთი მეორის დამატება ვართ, ჩვენი მახინჯის ცხოვრების სურათებიდან... ყველა სიამოვნებით გადაგვფურცლავს, მაგრამ ზიზღით გადაგვაგდებს შორს...

— არა მგონია!—ვუპასუხე მოკლედ.—შემცდარია, ვინც ყველას ისე არ უყურებს, როგორც ძმას, ვინც არა ფიქრობს, რომ ყველაფერი საერთო უნდა იყოს, რომ ყველანი...

— მაგრამ...—დაიწყო მან,—მრწამს,—ძმები ვართ, და მე-კი ორ კაპეიკს გთხოვ!.. მშია... მწყურია,—ლოთი ვარ, ჩემი სიცოცხლე ერთი ჭიქა არაყია. თუ არ მაჩუქე, პერანგს გავყიდი და დავლევ. ძალად მოვიტაცებ, მოვიპარავ, ყველაფერს ჩავიდენ...

ვიცი, რომ შენა გაქვს: გესმის ჩემი თხოვნა. გინდა შენს ძმიას დაეხმარო და... ხელ უკუღმა გადმომიგდებ შაურს... გაიღიმებ და შენის გზით წახვალ!

მიხარია, რომ ჩემს თხოვნას ერთი-ორად გადააჭარბე... მაგრამ, ჩვენთვისა ვსთქვათ, რატომ არ ფიქრობ, რომ შემიძლია მოწყალება თავში გახალო. არ ფიქრობ და მიდიხარ... მიდიხარ კმაყოფილი, რომ შენს მშიერს ძმიას დაეხმარე, ზნეობრივი ვალი გადაიხადე...

მწარედ ჩაიცინა და განაგრძო: რა სასაცილო იქნება, რომ შენი მოწყალე ბატონი შენ წინ გაგორდეს და... მე კი, რომ შემეძლოს, უფრო სიხარულით ამოვაცლი გულსა და [illegible] ვიდრე ასეთს საჩუქრებს მივიღებ[illegible] მითხრა:

ის ცოტას შედგა, თვალით [illegible]

— შეწუხდი განა?

— არა! დავუფ[illegible]! დამაიმედა მან.

— მალე გა[illegible] თუნდ მთელი დღე-ღამე შენ-

— განა! ვუთხარი მე.

თან [illegible]ც მე გამიფუჭდება საქმე!.. რაც უნდა იყოს, როდესაც ჩემი თხოვნა შეასრულე, უფლება გაქვს შენს თავს უხვი ქველ-მოქმედი უწოდო. მაგრამ მე?! მე ხომ ჩემს უკანასკნელ რწმენას ვღალატობ. შაურიანს თავში არ გახლი... ღმერთმა დამიფაროს! ვიცი, მოწყალებაც სამაგიეროს „მადლობას“ თხოულობს. ცხოვრება შეუმცდარ ანგარიშზეა აგებული.

— ყოველთვის ხომ ანგარიშს ვერ დაემყარებით, ვუპასუხე მე,—როდესაც მსურს ვისიმე დახმარება, სამაგიეროს მისგან სრულიადაც არ მოველი. ვისაც არა აქვს, მაშასადამე, სამაგიეროს არც მიიღებს!..

ზაქ. ლუკაშვილი, ირ. ბაქრაძე, ვას. წერეთელი, არჩ. ნინიაშვილი, ბაგრ. მიქელაძე, გიორგი ტატიშვილი, იაკ. კორძახია, ვას. კელენჯერიძე, სიმ. ბეჟანიშვილი, მიხ. მინდელი, გიორგი წითლიძე, რაჟ. უზურგუნაშვილი, მაქს. ჩაჩავა, სიმ. ურუშაძე, პეტრე გვარამაძე, იაგ. აბაშვილი, არჩ. მევდარიანი, კონსტ. ჯაიანი, ალექსანდრე ჯინარიძე, სპირიდონ ხვედელიანი, სიმ. თეთრაძე, თეიმ. ცომაია, სოლ. უკლებაშვილი, ეპიფ. უჩაველიშვილი, მიხ. ცუცურია.

ახალი ამბავი

კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის ბლ. მღ. ქრ. ციცქიშვილმა წარუდგინა **რეზოლუცია სამღვდელოებისა** 31 მაისის ინციდენტის შესახებ. ამ რეზოლუციის [illegible] ნამესტნიკს წარუდგინეს, ხ[illegible] [illegible] **[illegible]იების აქტ**[illegible] 31 მაისის ინციდენტის [illegible].

◆ სამღვდელოების საქმეზე არჩეულ კომისიაში ახალ წევრად დაინიშნა **ექსარხოსის კანცელარიის მმართველი ტრელინი.**

◆ როგორც გადმოგვცეს, ტფილისის რამდენიმე საზოგადოებანი აპირობენ საგანგებო კრების გამართვას **ქართლ-კახეთის სამღვდელოებისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად** და მათის შეურაცხყოფის თაობაზე შესაფერ რეზოლუციის შესამუშავებლად.

◆ როგორც გვატყობინებენ, **ქალაქ გორის საზოგადოება ერთობ აღელვებულია ქართლ-კახეთის სამღვდელოების შესახებ 31 მაისს მომხდარ ინციდენტის გამო.** მცხოვრებთ განუზრახავთ, მოკლე ხანში სამ[illegible] თანაგრძნობა გამოუცხადონ.

გა[illegible] 25 მაისს, **სოხუმში ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულება დახურული იყო.** არც პური და არც ხორცი არ იშოვებოდა. 25 მაისს ქალაქ-გარედ, მინდორზე, ხალხს თავი მოეყარა და, როგორც საზოგადოდ ჩვეულებად აქვთ აქ კვირა-უქმე დღეს, ბურთს თამაშობდნენ. აქ მოუვიდათ შეტაკება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან... მცხოვრებლებმა დეპეშით სთხოვეს ნამესტნიკს, რომ ამ საქმის გამოსარკვევად და გამოსაძიებლად გამოეგზავნა ვინმე. 30 მაისს სოხუმში განსაკუთრებით ამ საქმის თაობაზე მოვიდა გენერალი მიხაილოვი. გამოძიება სწარმოებს.

◆ ამ ახლო ხანში რუსეთში სამოგზაუროდ ჩამოვლენ საფრანგეთის ცნობილი მწერლები და ჟურნალისტები, განთქმულ მწერლის ანატოლ ფრანსის მეთაურობით. **საფრანგეთის მწერლები ისე დაინტერესებულან კავკასიაში დაწყებულ მოძრაობით,** რომ მის შესასწავლად დიდხანს აპირებონ ჩვენს ქვეყანაში დარჩენას (რ. ვ.).

◆ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, ანანურსა და ფასანაურს შუა გზა ნიაღვარს ისე გაუფუჭებია, რომ **მგზავრების მიმოსვლა შეწყვეტილია.**

◆ ბორჩალოსა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში **გაძლიერებულ დაცვის წესი** მომავალ წლის თებერვლამდე გასტანს (რ. ვ.).

◆ ერევნის გუბერნიაში, წესიერების აღსადგენად და სამხედრო და სამოქალაქო მთავრობათა შესაერთებლად, გრაფ. **ვორონცოვ-დაშკოვმა დანიშნა კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსი,** გენერალ-მაიორი **პრინცი ლუდოვიკო ნაპოლეონი.** პრინცი იხელმძღვანელებს ნამესტნიკის-მიერ მიცემულ საგანგებო ინსტრუქციით და მას დაექვემდებარება, როგორც ყველა სამოქალაქო და საპოლიციო მთავრობა, ისე ყველა ჯარი, რომელიც ამჟამად ერევნის გუბერნიაში იმყოფება და რომელიც შემდეგში გაიგზავნება.

◆ როგორც „ბაქო“ გადმოგვცემს, გუბერნატორის მოადგილე ქალაქის გამგეობას შეჰკითხებია, შესაძლოდ ხომ არა სცნობთ მოზდოკის პოლკის კაზაკს მაკეევს **უზღოთ ცხენი, რომელიც მას მოუკლეს 6—9 თებერვლის უწესოების დროსაო.** ქალაქის გამგეობას შეუთვლია, მაგვარ ხარჯის გაღება ჩვენ არ შეგვიძლიანო.

◆ ხუთშაბათს, **9 ივნისს,** ქ. **ტფილისში შესდგება სტუდენტთა კრება,** რომელიც გამოიტანს ამა თუ იმ განაჩენს სტუდენტის სულხანიშვილის საქმის შესახებ. საქმის გამგენი უმორჩილესად სთხოვენ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და ნაწილისა, კრებას უეჭველად დაესწრნენ...

◆ 5 ივნისის **დიდმა წვიმამ ბაქოსა და ტფილისს შუა რკინის გზა ერთიან გააფუჭა.** პირველი მატარებელი რის ვაი-ვაგლახით ტფილისიდან ბაქოს წავიდა 6 ივნისს, საღამო ჟამს. 7 ივნისიდან მატარებელთა წესიერი მიმოსვლა აღდგენილ იქმნა.

◆ როგორც გვატყობინებენ, 5 **ივნისის დიდს ნიაღვარს** ქალაქის გარშემო მდებარე სოფლები ძალიან დაუზარალებია. ბევრგან სახლებიც მოუტაცნია.

◆ **ტფილისის მცხოვრებნი ერთობ შეწუხდნენ უხორცობით.** ხორცი მხოლოდ ზოგიერთ [illegible] შედუქნეებს ხორცი [illegible] მახლობელ სოფლებიდან მოაქვთ. ტფილისის მცხოვრებლებმა განიზრახეს ყასბებთან და სალახებთან მოლაპარაკება გამართონ, რომ გამოირკვეს, რამდენად სამართლიანია მათი მოთხოვნილება.

◆ როგორც გადმოგვცეს, ტფილისში სახლების პატრონს მირონ ამიროვს 1 აპრილიდან თავის მოიჯარადრე ყასბებისთვის 20% **დაუკლია სახლის ქირა.**

◆ სავაჭრო სკოლის სამზრუნველო საბჭომ **სწავლის ფასს დააკლო:** რვა თუმნის მაგივრად მოწაფენი წელიწადში შვიდ თუმანს გადაიხდიან.

◆ ტფილისში **ჩამოვიდა** ორიოლისა და სევის ეპისკოპოსი **კირიონი.**

◆ ხელოსანთა გამგეობაში მოხდა **კრება მკერვალების, წიგნების მკაზმავთა და მებულკეთა,** ხელოსნების და შეგირდების ყოფამდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამორჩეულმა კომისიამ შეიმუშავა გადაწყვეტილი ხელფასი, სამუშაო დრო და სხვა.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა მეღვედიევმა შუამდგომლობა აღძრა, საეროზო თანხიდან **5,000 მანათი** გადაიდოსო **ხალიჩების საქსოვ და სალებავ სკოლის** დასაარსებლად.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ქალაქის გამგეობას აცნობა: ავლაბარში პროგიმნაზიის პარალელურ კლასების დასაარსებლად საჭიროა ქალაქმა **კიდევ გადასდოს 5,000 მანათი,** გარდა იმ ათი-ათას მანათისა, რაც უკვე გადადებული აქვსო. ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა შუამდგომლობს, ეს 5,000 მანათი **ხაზინამ იკისროსო.**

◆ ტფილისის გუბერნატორმა ყველა მაზრის უფროსებსა და მომრიგებელ შუამავლებს მიწერილობა გაუგზავნა: სახელმწიფო მი[illegible]ის ასაწერად **გაგზავნილს მიწის მზომელთ** ბინა და ყოველგვარი დახმარება ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯით აღმოუჩინეთო.

◆ სოფ. ქოპორტში (დუშეთის მაზრა) **სახადი გაჩენილა**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის თაოსნობით, **ტფილისში სანიტართა კომისია არსდება,** რომელმაც ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებანი უნდა მიიღოს. კომისია უკვე შემდგარია და ამ კვირია კრება ექმნება იმის თაობაზე, თუ რამდენი მოსამსახურე იქმნება საჭირო ამ საქმისთვის და თვითოეულს მოსამსახურეს თვეში რა ჯამაგირი მიეცემა. ფაქტიურ მოქმედებას კომისია მომავალ ორშაბათიდან დაიწყებს.

◆ განზრახულია, **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** კრება 19 თიბათვეს დანიშნონ.

◆ **ფოთიდან გვწერენ:** დღეს, სამ ივნისს, შუადღისას, ევრედ წოდებულ დიდ კუნძულზე სამი ავაზაკი თავს დაეცა ქალაქის ფერშალს ნოდიას და ორას სამოცი მანათი წაართვა. ორი ავაზაკთაგანი დაიჭირეს.

◆ ქალაქ გორში, 5 ივნისს, საღამოს 5 საათზე, **შემდეგი ამბავი მოხდა:** დავრიშევის ეზოში ერთის მდგმურის პატარა ბავშვი თავლია ჭაში იხედებოდა. ბავშვს თვალები აუჭრიალდა და შიგ ჩავარდა. ძალზე დაშავებული ბავშვი ჭიდან ბ-ნმა მეგრელიშვილმა ამოიყვანა.

სომხების დეპუტაცია კავკასიის ნამესტნიკ გრაფ ილ. ივ. ვორონცოვ-დაშკოვთან

ოთხშაბათს, 1 ივნისს, [illegible] კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგა სომხების დეპუტაცია. ამ დეპუტაციაში იყვნენ სომხების სხვადასხვა ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელნი, რომლებიც შეიკრიბნენ კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან და ამ ორი თვის წინად სომხების საჭიროებათა შესახებ პეტიცია შეიმუშავეს. დეპუტაციაში იყვნენ: თ-დი ა. ი. ბებუთოვი, პ. ს. ღამბაროვი, ტ. ნ. იონისიანი, ა. ა. ქალანთარ ი, ი. ს. სპენდიაროვი, გ. ნ. სტეფანოვი, ა. ი. ხატისოვი (ქ. ტფილისი), ს. ს. არუთინოვი, კ. ი. ხატისოვი (ბაქო), ლ. ს. სარქისიანი (ნახჩევან. მაზ.), ი. ი. საგათელიანი, ს. ფ. ტიგრანიანი (ერევნ. გუბ.), ს. ს. აფანასიევი (განჯა), ა. ა. მელიქ-აზარიანი (შუშა) და ბ. ტერ-მირაქიანი (ალექსანდროპოლი). ერევანში მომხდარ ამბების გამო დეპუტაციამ წარუდგინა მისს ბრწყინვალებას შემდეგი შინაარსის მოხსენება:

„თქვენო ბრწყინვალებავ, გრაფო ილარიონ ივანეს ძევ! რაც რუსეთის მფლობელობა დამყარდა კავკასიაში, სომხები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის მოწყობასა და კულტურის გავრცელებაში. სომხები გრძნობდნენ, რა სასარგებლო იყო მათთვის რუსის ხალხთან შეერთება, და ღრმად დარწმუნებულნი, რომ რუსეთის კანონები დაიცავდნენ მათ მოქალაქობრივ და ეროვნულს განვითარებას, მშვიდად მუშაობდნენ და ილვწოდნენ, მაგრამ განმათავისუფლებელ ეპოქის შემდეგ, დადგა დრო რეპრესიებისა და ადმინისტრაციის თვითნებობისა. ყველაზე მეტად ეს იგრძნეს სომხებმა, რომლებსაც სდევნიდნენ და სისტემატიურად ავიწროებდნენ, როგორც ეროვნებას. კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია ცდილობდა, ძალით გაერუსებინა სომხები, შეეკვეცნა მათი საზოგადო მოქალაქობრივი და ეროვნული უფლებანი და შეეზღუდნა სომხების ეკლესიის თავისუფლება. ბევრის მაგალითის მოყვანა საჭირო არ არის, მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთს: უადგილობით შევიწროვებულ სომხის გლეხობას არ ჰქონდა უფლება დასახლებულიყო თავისუფალ ადგილებზე,—ეს კიდევ არაფერი: ადგილობრივი ადმინისტრაცია ხშირადართმევდა მიწებს სოფლის საზოგადოებათ და აძლევდა მათ რუსის შიდა-გუბერნიიდან გადმოსახლებულებს. სომხის მრავალი სკოლა დაიკეტა და რამდენიმე ათიათასი ბავშვი ქუჩაში დარჩა. დაიკეტა განმანათლებელი და საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომელნიც ბედისავით იყო მოფენილი მთელს კავკასიაში. სომხების ენას და ბეჭდურ სიტყვას ყველგან დაბრკოლება ხვდებოდა. სომხის ხალხის სისტემატიური დევნა იქამდის მიიდა, რომ ცენტრალურ ადმინისტრაციის ოფიციალურ ორგანოს ფურცლებზე კავკასიის ცხოვრებას სხვა ელფერს აძლევდნენ, ცალკე ერთა შორის მტრობას სთესავდნენ, ვინც კი ხმას ამოიღებდა და თავის დაჩაგრულს ძმას თანაგრძნობას უცხადებდა და დახმარებას გაუწევდა, იმათ სჯიდნენ და სდევნიდნენ. ყველა ამან და სხვაგვარმა საშუალებებმა ღრმად შეურაცხჰყო და ააღელვა მშვიდობიანი სომხობა. ამას დაემატა ის კანონი, რომლის ძალითაც სომხებს ჩამოერთვათ ხალხის კუთვნილება—სომხების ეკლესიის ქონება—და ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა, აღელდა. ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრამ ხომ ნათლად დაამტკიცა, რომ სომხის სიცოცხლე, პიროვნება და ქონება დაცული არ არის. ბაქოში და ერევნის გუბერნიაში მომხდარმა ამბებმა დაათრთოლა სომხობა [illegible] გადასახლებულიყო. შეურაცხყოფილ ეკლესიებსა და ადამიანთა მსხვერპლს რომ დავანებოთ თავი, ამ ამბებმა დაარღვია მშვიდობიანურ ცხოვრება ხალხისა და ზოგი სიღარიბისა და სიმშილობის გზაზე დააყენა, ზოგი კი გააბოროტა და დღეს იმის ფიქრშია—მტერს სამაგიერო როგორ გარდაუხადოს. ბაქოდან გადასახლდა აუარებელი მუშა, რომელიც ნავთის ქარხნებში მუშაობდა და იმით თავის ოჯახს ასაზრდოებდა. ერევნის გუბერნიაში და მთელ კავკასიაშიაც, სადაც კი სომხები ცხოვრობენ, მეურნეობა დაეცა, დაეცა ვაჭრობა და მრეწველობა, ათასობით ხალხი გაღარიბა. ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ სომხებმა არ იციან, ხვალ რა მოელით, და მშვიდობიან საქმეს ველარ შესდგომიან. ეს მოძრაობა კი თანდათან იზრდება, ამას მხარს აძლევს „ბნელი ძალები“ და შესაძლებელია—მთელს კავკასიის მხარეს ცეცხლი აღიად მოედოს. ბნელს, გაუნათლებელს ხალხში გავრცელებულია ხმები—ეს თვით მთავრობის სურვილიაო,—ამიტომ დასჯისა არ ეშინია და თავის მიზნისკენ თამამად მიილტვის. ხალხი ამაში უფრო დარწმუნდა მას შემდეგ, როცა დაინახა, რომ ბაქოში 4 დღის განმავლობაში იყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ერევნის გუბერნიაში, 12 მაისიდან დაწყებული, დღევანდლამდე ჯერაც არ შეწყვეტილა; ადგილობრივი მთავრობა კი ამ საქმეს, როგორც საჭირო იყო, ისე ვერ მოეკიდა.

ასეთია ამჟამად სომხების სოფლებისა და ქალაქების მდგომარეობა და ამიტომ საჭიროება მოითხოვს, რომ: 1) უწესოება დასაწყისშივე მოისპოს, რის გულისთვისაც მთავრობამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს და უწესოების მეთაურნი, წამქეზებელნი და დამნაშავენი დაუყოვნებლივ სამართალში მისცეს; 2) მიღებულ უნდა იქმნეს ყოველი საშუალება, რათა დაუბრუნდეთ წართმეული რამდენისამე მილიონის ქონება დაზარალებულთ და, თუ ეს ქონება გაფლანგულია ან გადამალული, გადახდეთ მისი ღირებულება დაზარალებულთა სასარგებლოდ მძარცველებს; 3) დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან ადმინისტრაციისა და პოლიციის ის მოხელენი, რომლებიც ამ საქმეში შემჩნეულნი არიან, როგორც არა საიმედო კაცები; 4) ხალხის დასამშვიდებლად და ამ ამბების განმეორების თავიდან ასაცილებლად, მიეცეს ნება სომხის სოფლების საზოგადოებათ, იყოლიონ დარაჯთა რაზმები, რომლებიც იქმნებიან ადგილობრივ მთავრობის მხედველობის ქვეშ. მოისპოს სახლების გაჩხრეკა, რომელიც მეტად აღელვებს ხალხს, და იარაღის ჩამორთმევა, რადგან, თუ სოფლებში ბლომად ექნებათ იარაღი, სისხლის ღვრაც მოისპობა. ახლა კი სომხებს იარაღს ართმევენ და ამით საქმეს უფრო ამწვავებენ, რადგან უიარაღონი ისინი მტერს ადვილად უცვივდებიან ხელში. ამჟამად ჩვენ გვავიწყდება ბევრგვარი სხვა მოთხოვნილება და ვთხოულობთ მხოლოდ იმას, რაც ჯერ საჭიროა. გთხოვთ: დაცულ იქმნას ჩვენი ეკლესია, პატიოსნება, პიროვნება და ქონება. შემდეგში კი,—როგორც თქვენა ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, კავკასიაში ჩამობრძანებისას—სომხების წარმომადგენლებთან ერთად გამოვარკვევთ სომხის ხალხის საერთო მოქალაქობრივ და ეროვნულ მოთხოვნილებებს და წარმოვუდგენთ თქვენს ბრწყინვალებას“.

გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა, გაიცნო რა კარგად დეპუტაციის მოხსენება, პირადად მიიწვია ისინი აუდიენციაზე მისაღებ დარბაზში. აუდიენციას დაესწრო ნამესტნიკის თანაშემწე ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეიც. გრაფმა სთქვა, საზოგადოდ ეთანხმები მოხსენებაში გამოთქმულ ზოგიერთ აზრებს და მინდა ცალკე ყოველ მუხლის შესახებ დეპუტაციის აზრი გავიგოო. რაც შეეხება სომეხთა ადგილის სიმცირეს, გრაფმა სთქვა, კავკასიაში ამ ბოლოს დრომდე გამეფებული აგრარული პოლიტიკა ავიწროებდა არა მარტო სომხებს, არამედ დანარჩენს ერებსაც და ამჟამად ეს პოლიტიკა სრულებით შეცვლილიაო. ამის შემდეგ კავკასიაში თავისუფალი ადგილები მიეცემათ ადგილობრივ მცხოვრებთ და, მათ შორის, სომხებსაცაო.

სომხების სკოლების შესახებ გრაფმა სთქვა: სკოლების საკითხი ამ ცოტა ხანში გამოირკვევა და, დარწმუნებული ვარ, ისე გადაწყდება, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩებაო. რაც შეეხება საქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებათ, გრაფმა ამის შესახებ თავისი თანაგრძნობა განაცხადა და დახმარება აღუთქვა მათ გახსნაზე, თანაც შენიშნა, მე უპირატესობას ვაძლევ იმ საქველმოქმედო დაწესებულებათ, რომელიც აკმაყოფილებს ადგილობრივ სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებებს და არა იმათ, რომელიც თავის მოქმედებას მთელს კავკასიაზე ავრცელებსო. ბეჭდურ სიტყვას და სომხის ენას მე ჩემის მხრივ არაფერს დაბრკოლებას არ გაუწევ და, ამგვარად, ეს საკითხი მალე პეტერბურგში გამოირკვევაო.

შემდეგ გრაფმა ყურადღება მიაქცია მოხსენებაში ნათქვამს სიტყვებს: „სომხის ხალხის სისტემატიური დევნა“... და დამსწრეთ სთხოვა, გულ-ახდილად მითხარით, ეს სისტემატიური დევნა რაში გამოიხატაო. ამ კითხვაზე ნაფიც ვექილმა ს. ს. არუთინოვმა შემდეგი მოახსენა: „სომხების დევნა იმაში გამოიხატა, რომ ყოველნაირად ცდილობდნენ მათი ეროვნული და მოქალაქობრივი უფლებანი შეეზღუდნათ. ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში სომხებს ჰქონდათ მრავალი სკოლები, სადაც სომხის შვილნი იღებდნენ განათლებას დედა-ენაზე და იმავე დროს რუსულ ენაზედაც. ამ სკოლებს სარგებლობა მოჰქონდათ, როგორც სომხებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის, რადგან ამით ვრცელდებოდა წერაკითხვა და რუსული ენა, მაგრამ ისინი დახურეს და მათ მაგივრად გახსნეს ისეთი სკოლები, რომელთაც ხალხი უნდობლად უცქერის. დახურეს აგრეთვე სომხური საქველმოქმედო და განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელთაც სარგებლობა მოჰქონდათ, როგორც სომხის ხალხისთვის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნისთვის. პირად მე ბაქოს კაცთ-მოყვარე სომხურ საზოგადოების თავმჯდომარედა ვარ. ამ საზოგადოების წესდება უმაღლესად არის დამტკიცებული და უმაღლესის ბრძანებით ჯერაც არ არის გაუქმებული, მაგრამ სახელმძღვანელოდ ჩვენ მოგვცეს ახალი წესდება, რომელმაც ჩვენ ყოველნაირი უფლება ჩამოგვართვა. ამ საზოგადოებამ სკოლისთვისააგო სამ-სართულიანი სახლი, ეს სახლი ჩამოგვართვეს და ჩვენ იძულებულნი გავხდით ამ საქმისთვის სხვა სახლი მოგვეძებნა. ყველა ამას სომხები გულის ტკივილით შეჰყურებდნენ. როცა კი გაიგეს, რომ სომხებს საეკლესიო ქონება ჩამოართვეს, მაშინ ყველანი მღელვარებამ მოიცვა. ამას მიუმატეთ ის გარემოება, რომ მცირე ადგილის პატრონს—სომეხ გლეხკაცს—სრულიად დაეკარგა იმედი, რომ მას როდისმე ადგილს მისცემენ. ყველა ამას შემდეგ, რაცა ვსთქვი, ადამიანი ნათლად დაინახავს, რომ, როდესაც ბაქოში მოხდა საზარელი ამბები და ადგილობრივმა მთავრობამ ხელიც არ გაანძრია, ხალხში ის აზრი დამყარდა, რომ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველ ყოფილი არ არის სომხის პიროვნებაც კი. ამ უბედურს ამბავს ის უბედური მოვლენა მოჰყვა, რომ თათრებში დამყარდა რწმენა, ვითომ სომხების ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა მთავრობის წებართვით ხდებოდეს. მთავრობამ ეს რწმენა ძირიანფესვიანად უნდა აღმოფხვრას და დაამტკიცოს, რომ მთავრობას ამ ვერაგულ გეგმასთან საერთო არაფერი აქვს“.

გრაფმა მოისმინა ყველა ეს და მიუგო, რაც შეეხება სკოლასა და ეკლესიების ქონებას, ეგ თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნებაო. ბაქოს ამბების გამო კი შენიშნა: მე ჩემის მხრივ გთხოვთ თქვენ, როგორც წესიერების მომხრეთ, რამდენათაც შეგიძლიანთ, გავლენა იქონიეთ საიდუმლო კომიტეტებში, რომ იმათ ტერორისტულ მოქმედებაზე ხელი აიღონ.

ამაზე დამსწრეთ უპასუხეს, ჩვენ გავლენას ვერ ვიქონიებთ, რადგან არავინ იცის, ეს კომიტეტები სად იმყოფებიან, ან ვინ არიან მათი წევრები. მაგრამ, რადგან ამ კომიტეტებმა თავიანთი მოქმედება დაიწყეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სომხებს საეკლესიო ქონება და ეროვნული უფლებანი ჩამოართვეს, ამიტომ, როგორც კი მოისპობა ეს ამაღელვებელი მიზეზები, მოისპობა მათი მოქმედებაცაო. გრაფმა შენიშნა, კომიტეტები წინადაც იყვნენო. უკანასკნელ დრომდე მათი მოქმედება რუსეთს არ ეხებოდაო—უპასუხეს დეპუტატებმა.

ნაფიც ვექილმა საგათელიანმა აღნიშნა, რა როლსა თამაშობდნენ სომხები კავკასიის ისტორიაში და როგორ ცდილობდნენ, გაევრცელებინათ ჩვენს ქვეყანაში კულტურა, მაგრამ მთავრობა ხელს უშლიდა მათ და ავიწროებდა მათ მოქმედებას. საგათელიანმა, სხვათა შორის, სთქვა: „რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ბაქოსა და ერევანში ამ საზარელ ამბების დროს, პოლიცია ხელს არ ანძრევდა, მე შემიძლიან ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. ჩემმა ერთმა ნაცნობმა მიმართა კაზაკებს და უთხრა, აგრე გულგრილად რად უყურებთ ამ სისხლის ღვრას და რატომ არა ცდილობთ, მოსპოთ იგიო. ამაზე ერთმა მათგანმა უპასუხა: „განა მე არ მაღელვებს ეს საქმე. განა მე ქრისტიანი არა ვარ, მაგრამ, რა ვქნა, რომ თოფის სროლის ნება არა გვაქვსო“. სოფლის მკვიდრთა თავის დაცვის შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ, უკეთუ ამის შესახებ ჩვენის მოხსენების მუხლის შესრულება შეუძლებელია, ერთად-ერთ საშუალებად მიგვაჩნია თავის დამცველ რაზმების გაწყობა, როგორც ავაზაკთა წინააღმდეგ ყოფილა ხოლმე შედგენილი“.

გრაფმა მიუგო: ჩემთვის ეროვნული განსხვავება არ არსებობს და ყოველთვის ვეცდები, რომ ადგილობრივ მკვიდრთ თავისი ძალ-ღონე კავკასიის სამსახურს მოახმარონ. თავის დამცველ რაზმების გამო გრაფი სულთან-კრიმ-გირეის შეე-

---

— აკი გითხარი, კაი კაცი ხარ-მეთქი! მაგრამ კითხვა ეს არის: რათა აქვს... ან რათ არა აქვს?

უცებ გამომგლიჯა ხელიდან ჯოხი, შეათამაშა და მითხრა:

— აი, რა მშვენიერი ჯოხი გაქვს! ჩემი რომ იყოს, დღესვე გავყიდდი და, მაშასადამე, ხვალ აღარ მექნებოდა.

ხელით გაზომა და ღიმილით მითხრა: სწორედ არშინ-ნახევარია!.. ერთხელ მიწის მზომავად ვიყავი. ხეტყის ქარხანაშიც მიმუშავნია და ამის წყალობით არშინში რამდენი გოჯია, ისიც კი ვიცი! თუ ღმერთი გწამს, რა მიეცი, თუმანი თუ...

— სწორედ, თუმანი მივეცი!

— ხა, ხა! ესეც კი გამოეიცანი! თანხა რომ მომცა, ვაჭრათაც გამოვდგებოდი, მაგრამ ჯერ კი რიგიანათ დავლევდი!..

მომიახლოვდა და ჩურჩულით ჩამელაპარაკა:

— მე და შენ ამ ცხოვრების ნამდვილი ღვიძლი შვილები ვართ! სხვანაირად—ძმები, იმ განსხვავებით, რომელიც პატრსა და ხახამშია. ამ წმინდა მუშაკებმა, დიდი ხანია, ერთმანეთს ზურგი შეაქციეს და ერთი აღმოსავლეთისკენ გვითითებს, მეორე—დასავლეთისკენ. წარმოიდგინე, რამდენად უნდა აინტერესებდეს ერთს მეორის [illegible]!..

[illegible] ხანს ხმის ამოუღებლად ვიდექით. ჯუ-

— საათს გ[illegible] ლიან! [illegible] ში ნუ ინახავ! ამოგაცე[illegible] საათის ძეწკვი [illegible]

— მშვიდობით! მითხრა ბოლო[illegible] დავიმაგრე. ჩემი ბიოგრაფია ასე ვრცლად არავისთვის მიამბნია. მგონია, ახლა კი კარგად გაიგე ჩემი [illegible] ნაობა.

სთქვა და გამშორდა. ვიდექ დამუნჯებული და მის სხეულის თავისუფალ მოძრაობას თვალს ვადევნებდი.

— განა, ჩემი კითხვის პასუხი იყო, რაც მიამბო? არა! მე სულ სხვას მოველოდი! პასუხი მივე ჩემს თავს და ადგილიდან ვერ ვიძროდი. ის კი ისევ დინჯათ, აუჩქარებლათ მიაბიჯებდა და გული მწყდებოდა, რომ ერთხელაც არ მოიხედა უკან.

— ნუ თუ ასე უცებ დაივიწყა ჩემი არსებობა? ან თვითონ, რა კაცია? წამოვიძახე ხმამაღლა,— ნუ თუ ბავშვად ჩამთვალა, რომელიც უფროსების ლაპარაკში ჩაერევა, ხოლო, მას კი რიკტაფელას თამაშს ურჩევს!? ალბად!—მევე დავსკვენი და ჩემდა უნებურად ავედევნე.

მივდიოდი ნელა, დაღვრემილი, დაფიქრებული. მისი მოჰმუხვნილი სახე, თვალების უკმაყოფილო გამომეტყველება, ამ ქვეყნისადმი უმადურების მლაღადებელი იყო.

წამოვეწიე.

— საით გასწიე? შევეკითხე მორიდებით. ხმა არ გამცა, თუ ვერ გაიგო ჩემი ლაპარაკი. თავი ჩაექინდრა და სმენად გადაქცეულიყო, თითქო ყურს უგდებდა თავის ფეხის ხმას, ხელები უკან გაეხლართნა, შიშველა ფეხების კვალი მიწას ჰრელათ აჩნდებოდა. მის გვერდით მიჰქროდნენ ეტლები. ისმოდა მოსეირნეთა დინჯი ლაპარაკი, უდარდელი ხარხარი, ყვავილების გამყიდველთა შემოძახილი. ღია ფანჯრებიდან პიანინოს გრიალი, შორიდან სკრიპკის ნაზი, მკვნესარი ხმა. ეკლესიებიდან დამაყრუებელი ზარის რეკა და დიაკვნის მოუხეშავი, ზარმაცად გაჭიანურებული „მოგვმადლე უფალო“... მაგრამ მის ყურადღებას ვერაფერი იზიდავდა, თითქო, დიდი ხანია, გამოსცლია მათ სამეფოს და თავის მწირ სიცოცხლეს უდაბნოში დაათრევს, სადაც ყოველივე უარყოფილია.

მივყვებოდი კვალდაკვალ და მის მძიმე ნაბიჯს ვითვლიდი. გასცდა ქალაქს. დაჯდა ერთ მწვანით შემოსილ დაბლობზე. ეტყობოდა, ხშირი სტუმარი იყო ამ ადგილისა.

მზე აღარა სჩანდა: ცა ბრწყინვალებას ნელნელა ჰკარგავდა და ტყვიის ფერი ედებოდა. ფრინველებმა შეწყვიტეს ფრენა-ჭიკჭიკი და სადღაც დასაძინებლად მიიმალნენ. ქარხნებშიაც დათავის ძველი ქახა-ქუხი ჩაჩუმდა და მუშებმა მიაშურეს.

ის კი იჯდა [illegible]ული და თავის შიშველ ფეხებს დასცქეროდა.

— აქ იძინებ? შევეკითხე მე, [illegible]ან სხვა სათქმელი ვერა მოვიგონე-რა.

მან ზარმაცათ შემომხედა და ცივათ მიპასუხა:

— ჰო, აქ!

— ამ ღამეში?! გაკვირვებით შევეკითხე და მინდოდა ლაპარაკი სხვა საგანზე გადამეტანა— ვინ იყო, სადაური ან რა ტომისა.

პასუხი აღარ გამცა. ძველი, კარტუზ-მიცლილი ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და მიწვა.

უკმაყოფილო დავრჩი, რომ ჩემს მიზანს ვერ მივაღწიე.

გადავწყვიტე, დილაზე იქვე გავჩენილიყავი. მთელი ღამე მოუსვენარ ფიქრებში გავატარე. წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. ღია ცა, მოელვარე ვარსკვლავებით მოჭედილი, ცნობის მოყვარედ დასცქეროდა დედა-მიწას, თითქო მის ძილში გულის საიდუმლოება უნდა ამოეკითხოსო. ბამბის ქულასავით თეთრს ღრუბელს ცის კიდური მოექარგა. განთიადმაც მოაწია.

ფერ-მკრთალი მთვარე მაღალ კლდის თავზე დაესვენა, თითქო ენანება ქვეყნის მოშორება და საყვედურს უთვლის ბუნებას: სანავარდო გზა მოკლედ რად მომიჭრაო.

ნელი ნიავი ქურდულად მიეპარა ხის ტოტებს და მძინარ ფოთლებს ჩურჩული დაუწყო“. ახლად აშლილი მტრედის გუნდი თეთრი ზეწარიეით ეფინებოდა ქუჩებზე და საკენკის ძებნაში გართულნი, რაღაცას ღუღღუღობდნენ.

საქმეზე მიმავალ ხალხის შავი აჩრდილები მოჩვენებასავით დაცოცავდნენ და სახელოსნოს ღია კარებში ლანდივით ჰქრებოდნენ.

ინათა. ვარსკვლავები მიიმალნენ. მთვარე ფერწასული, სეედიანის სახით, მძიმეთ გადაეშვა კლდის გადაღმა და მიეფარა. მზემ პირველი სხივი აღმოსავლეთით ძაფივით გააბა.

ნაცნობ ადგილისკენ გავწიე. გავშორდი თუ არა ქალაქს, ის წინ შემოხვდა.

— გამარჯობა! მივაძახე შორიდან.

ძილისაგან ამღვრეული თვალები გადმომიტრიალა, თითქო თავის დღეში არ ვენახე, და ბოლოს, წარბ-შეკვრით, დაშტერდა.

— მე, გუშინ რომ გელაპარაკებოდი, ისა ვარ,— ავუხსენი.

— რა ვიცი, რამდენთან მლაპარაკნია გუშინ!. უკმაყოფილოდ მომიგო—თუ გაქვს რამე, მაჭამე! არაყიც საშინლად მინდა!..

აბაზიანი მივეცი.

— ფული?! მაშ სხვაც ბეჭი გექნება! წარმოსთქვა და მომვარდა.

— მძარცვავ? შევუტიე დაყვირილი დავაპირე.

— აა, პირს რად აღებ? გინდა შენს მაგიერად მე დავიყვირო!..

და ისეთი საშინლად დაიღრიალა, რომ გული გამისქდა. მოვიკრიბე ძალი, ხელიდან გავსხლტი და ქალაქისკენ მოვკურცხლე.

როცა გული დავიმშვიდე, ვნახე, ფულის ქისა აღარ მქონდა ..

ა. ჭელიძე.

კითხა და ამის შესახებ ცნობები მოსთხოვა, დეპუტაციას კი უპასუხა: „დამეთანხმეთ, ბატონებო, რომ მთავრობა ვერ იკისრებს, —ხელი შეუწყოს ერთის ეროვნების შეიარაღებას მეორის წინააღმდეგ. მეორეც, თუნდაც მოვისურვო მთელის ხალხის იარაღის აყრა, ვერ მოვახერხებ, რადგან საქმით იარაღი მხოლოდ მშვიდ მოქალაქეთ ჩამოერთმევათ და არა-სასურველს პირებს კი სხვადასხვა ხერხით ყოველთვის შერჩებათ იგი. ამისთვის მე წინააღმდეგი ვარ გაჩხრეკისა და იარაღის ჩამორთმევისა, ხოლო იარაღის შესაძენად ყველას ვანიჭებ უფლებას, რასაკვირველია, მთავრობის მოწმობითა და ნებართვით“.

ამას შემდეგ გრაფი ბაქოს ამბებს შეეხო. ინჟ. კ. ი. ხატისოვმა მოახსენა: „ბაქოს რუს. საიმპ. ტეხნიკ. საზოგადოების თავმჯდომარედ ვახლავარ და მრეწველობის საქმეს კარგად ვიცნობ. ამისთვის თამამად შემძლიან ვსთქვა, რომ ჩვენი მრეწველობა უკიდურესს პირობებშია ჩაყენებული და სრული დაღუპვა მოელის. მაშინ, როდესაც მრეწველობას დიდი ადგილი და მნიშვნელობა აქვს კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებისათვის, თვალსაჩინო შემოსავალს აძლევს ხაზინას და რამდენიმე ათიათას მუშას საზრდოს უჩენს, პიროვნებითი თუ ქონებრივი გარანტიის უქონლობა, მისი უზრუნველყოფა საგონებელში აგდებს ყველას, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ბაქოსთან. უმთავრესი მიზეზი კი, რომელმაც ასეთი აუტანელი მდგომარეობა შეჰქმნა ბაქოში, ადმინისტრაციის წინდაუხედავი განკარგულებანი იყო. მაგ., 30 აპრილს გაფიცვა მოხდა. ადმინისტრაციამ მის მოსასპობად ასეთს ზომას მიმართა: ბალახანის ქუჩებსა და მოედნებზე შეიარაღებული მუსულმანები შეჰკრიფა და მუშათა „დამშვიდება“ უბრძანა, მართალია, „დამშვიდება“ მოხდა, გაფიცვა შესწყდა, მაგრამ რა მსხვერპლით? ცხადია, მუსულმანებიც და სომხებიც საგრძნობლად დაზიანდნენ. ამგვარმა „დამშვიდებამ“ მეტი საბუთი და საბაბი მისცა სომეხ-მუსულმანთა განხეთქილებას. ამის შედეგი იყო, რომ სომეხ მუშებს ველარ იკავებდნენ ქარხნებში. თებერვლის სისხლისღვრით შეშინებული და დამფრთხალნი ასობითა და ათასობით გაურბიან ბაქოს, გაურბიან, რომ კვლავ სხვადასხვა ეროვნების მუშათა მსხვერპლად არ გახდნენ. ადმინისტრაციის წინდაუხედაობამ არც სომეხ ინტელიგენციას აუხვია მხარი. ცოცხალი მაგალითი აგერ ვსდგევარ თქვენ წინ“.

ხატისოვის მოხსენების გამო, გრაფმა სულთან-კრიმ-გირეის სთხოვა, ყოველისფერი დაენიშნა, რაც საგანგებო განკარგულებას მოითხოვდა.

შემდეგ გრაფი დეპუტაციას მიუბრუნდა, საზოგადო დამშვიდებაში დახმარება სთხოვა და აღუთქვა—ვეცდები აღნიშნული რეფორმები ახლო მომავალში განვახორციელოვო.

ექიმმა გ. ნ. სტეფანოვმა, კარგად მიღებისა და დაიმედებისათვის, გრაფს მადლობა გადაუხადა...

ექიმმა ა. ი. ხატისოვმა სთხოვა, ნება გვიბოძეთ, რომ ჩვენი დარბაზობის მიზანი და საუბრის შინაარსი, გაზეთის საშუალებით, საზოგადოებას ვაცნობოთო. გრაფმა ნება დართო.

ბოლოს „მშაკ“-ის რედაქტორმა ა. ა. ქალანთარმა მიჰმართა გრაფს და განუმარტა, რომ დეპუტაცია სომხების სხვადასხვა წრის წარმომადგენელთაგან არის შემდგარი. „ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ბრწყინვალება, სომეხთა საჭიროების დაახლოვებით გასაცნობად, ხალხის წარმომადგენლებს მოიწვევს და შეძლებას მისცემს თვით ხალხს, თავისი საჭიროებანი გაითვალისწ[illegible] და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების მოსაწესრიგებლად საშუალებანი თვითონი აღნიშნოსო. ამ საკითხების შესახებ უკვე რამდენიმე პროექტია შემუშავებული“.

ამ სიტყვებზე გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა უპასუხა: „ბატონებო, ჩემს სახლის კარი მუდამ ღიაა თქვენთვისაო“.

აუდიენციამ 1 საათს და 10 წუთს გასტანა. (ტ. ფ. № 115).

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

(6 მაისის სხდომა)

თავად-აზნაურთა საგანგებო პირველი კრება მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში, ორშაბათს, 6 მაისს, დილის 11 საათზე. კრებაზე დასწრების ნება მხოლოდ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა და პრესსის წარმომადგენელთ ჰქონდათ, თუმცა დასწრების მსურველი ბევრი იყო. კრების დაწყებამდე თავად-აზნაურთა წინამძღოლთ კერძო თათბირი ჰქონდათ, რომელზედაც გარდასწყვიტეს, ნება მიეცათ—კრებას დასწრებოდნენ სტუდენტები ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგანი. ამის შემდეგ თავმჯდომარემ, თავ. ა. ორბელიანმა კრება გახსნა და საზოგადოებას მორიგ საქმეებზე თათბირის ნება მისცა.

ბ-ნმა ე. რცხილაძემ ითხოვა სიტყვა და, სხვათა შორის, წინადადება მისცა კრებას, ცემით შეურაცხყოფილს ქართველ სამღვდელოებას, თავად-აზნაურობამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს და, ნიშნად პროტესტისა, კრება დახუროსო.

თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი შეუერთდა ბ. რცხილაძის წინადადებას...

როგორც ბ. რცხილაძის სიტყვებს, ისე თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისას, საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება და კრება გადიდო შემდეგი დღის 10 საათისთვის.

მეორე დღეს კრება შესდგა სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში. აქაც იგივე განმეორდა, რაც წინა დღეს: კარებში იდგა გარეშე ხალხი, ქალები და სტუდენტები, და ითხოულობდა კრებაზე დასწრების ნებას, მაგრამ თავმჯდომარე არა დასთანხმდა, და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგნენ.

თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით დასურათა ტფილისის გუბერნიის სოფლების ვითარება, თავად-აზნაურთა გაჭირება, უფულობა, მაშინ, როდესაც ბევრს მათგანს მამული ბანკებში აქვს დაგირავებული, და სარგებლის შეუტანლობის გამო, ბანკებში საჯარო ვაჭრობით ეყიდებათ. თავმჯდომარემ შესთავაზა კრებას—აღმოაჩინონ რაიმე საშუალება თავად-აზნაურთა დასახმარებლად და თავის მხრივ განაცხადა, რომ მაზრების თავად-აზნაურთა კრებამ გარდასწყვიტა, მიეცეს თავად-აზნაურობას სესხად სათავად-აზნაურო ბანკში სარგებლის შესატანად ამავე ბანკის სამეურნეო თანხის მოგებიდან, რომელიც წელს შეადგენს 28 ათასს მანეთს და, თუ ეს ფული არ ეყოფა,—თვით თანხიდანაც.

ექ. გაბაშვილი. რამდენადაც მახსოვს, როდესაც ჩვენი თხოვნით მიგმართეთ, კავკასიის ნამესტნიკისაგან დეპეშა მოგვივიდა, თავად-აზნაურთა გაჭირების შესახებ მასალა დაამზადეთ, ჩამოვალ და ამ საქმეზე მინდა მოვილაპარაკოთო. მართალია ეს და, თუ მართალია, დამზადდა რაიმე მასალა თუ არა?

თავმჯდომარე. მართალია, მაგნაირი დეპეშა მოგვივიდა და მასალაც შევკრიბეთ. თუმცა ეს ქაღალდი ახლა ხელთ არა გვაქვს, მაინც ისე ზეპირად მოგახსენებთ, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ სათავად-აზნაურო ბანკში შესატანი სარგებლი შეადგენს 58,000 მანეთს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სათავად-აზნაურო ბანკში ეს სარგებელი უთუოდ უნდა შევიტანოთ, რადგან ამ ბანკს აქვს თავისი გირაოსნობის ფურცლები და ბანკს ამით ზარალი მოუვა. სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკში კი სულ სხვაა. [illegible] ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ გვითხრა, ვისაც [illegible] დაგირავებული აქვს და ფულის შემოტანა არ შეუძლიან, ყველამ ცალცალკე თხოვნები შემოიტანოს და [illegible] გაუგრძელებთ, დამგირავებლებიც სწორედ ასე მოიქცნენ [illegible] მათ. სათავად-აზნაურო ბანკში ნახევარის წლის სარგებელს, რომელიც მესესხეებმა უნდა წელს შეიტანონ, გრძელს და მოკლე ვადიან სესხებზე, შეადგენს, როგორც წეღანაც გითხარი, 58,000 მანეთს და, აი, ეს ფული საიდანმე უნდა ვიშოვნოთ.

ექ. გაბაშვილი. არ შეიძლება გავიგოთ, ტფილისის გუბერნიის რომელ მაზრას რამდენი სარგებელი აქვს შესატანი?

თავმჯდომარე. წეღანაც გითხარით, ეს ქაღალდი ჩვენ ხელთ არა გვაქვს, თავ. თუმანიშვილს გაჰქვა შემთხვევით. რად გნებავთ, ბატონო, ეს დაწვრილებითი ცნობები?

ექ. გაბაშვილი. დაწვრილებითი ცნობები იმიტომ მინდა, რომ, როგორც გავიგე, ბორჩალოს მაზრაში დაგირავებულს ორს მამულზე, რომელიც ორ მემამულეს ეკუთვნის, წელს შესატანია სარგებელი 17,000 მანეთი და მარტო ორ მამულზე რომ ამდენი ფული შევიტანოთ, სხვა მაზრებს და მემამულეებს აღარა დარჩებათ-რა.

თავ. ჩოლოყაშვილი. საჭიროა შესდგეს კომისია, რომელიც ამ ფულს გაანაწილებს და ვისაც ღირსეულად იცნობს, იმას მისცემს.

თავ. დ. ჯორჯაძე. არ ეთანხმება თავ. ჩოლოყაშვილს. კომისიამ შეიძლება ვისმე მიჰკერძოს ან უმტროს და ზოგს ბევრი მისცეს, ზოგს სულაც არაფერი.

თავ. ჩოლოყაშვილი. კომისია იმიტომ არის საჭირო, რომ ის საქმეს გამოარკვევს და სამართლიანად გადასწყვეტს. მაგ., ბორჩალოს მაზრაში, როგორც სთქვეს, ორს მამულზე შესატანია 17,000 მანეთი და ორივე ეს მამული სახელმწიფო ბანკის ქვეშ იმყოფება. ჩვენ შეგვიძლიან სულაც არ შევიტანოთ ამ მამულების სარგებელი.

ამას შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, ეს საგანი საკმაოდ გამოირკვა, და უნდოდა კენჭზე ეყარა, მაგრამ ამ დროს ერთმა გარეშე პირთაგანმა სიტყვის ნება მოითხოვა და განაცხადა: ქალები არიან გარერებულნი შესავალში და გთხოვთ შემოუშვათო. ამ განცხადებას სხვებმაც მისცეს ბანი და დარბაზში ხმამაღალი ლაპარაკი ასტყდა. კრებაზე შემოვიდნენ ქალები და ზოგიერთა კაცებიც. თავმჯდომარემ რამდენჯერმე მიმართა საზოგადოებას და შესთავაზა, კანონი ნებას არ გვაძლევს, რომ სათავად-აზნაურო კრებას გარეშე პირნი დაესწრონ, ამიტომ ვთხოვთ, ვისაც ამ კრებაზე დასწრების ნება არა აქვს, დარბაზიდან გავიდესო. კრებიდან არავინ გავიდა. მაშინ თავად-აზნაურთა ერთმა ჯგუფმა ასტეხა ყვირილი—დახურეთ კრება, წავიდეთ აქედან, ხვალ შევიკრიბნეთო და ხალხი აიშალა. არეულ დარეულობაში და ხმაურობაში საზოგადოების ყურადღება მიიქცია თავ. ი. გ. ამილახორის სიტყვებმა: კაცი მოხუცებული ვარ, ბევრს საზოგადოებას, ბევრს კრებას დავსწრებივარ, მაგრამ ამისთანა არა მინახავს-რა. აი, აქვე, დარბაზში პაპიროსს ეწევიან, უზრდელად იქცევიან. ქართველებს რამდენიმე კარგი თვისება გვქონდა: ეს იყო ხელმწიფის ერთგულება, უფროსებისადმი პატივისცემა და ზრდილობა. ყველა ეს ახლა დავკარგეთ. ჩვენი კრებები კრებებს აღარა ჰგავს. ჩვენ ვართ თავად-აზნაურნი, ჩვენა გვაქვს ჩვენი კერძო ინტერესები, ვკრებებით ჩვენს საქმეებზე მოსალაპარაკებლად, აქ კი წამოდგება ვინმე უცხო, გარეშე და იტყვის: მღვდლებსა სცემს, თავი უნდა გამოვიდოთ, მათ პატივისცემისთვის კრება უნდა დავხუროთო. სცემს, რა ვუყოთ მერე! სამწუხაროა, მაგრამ თავის გამოსადები რა გვაქვს. როდის დადიოდით ეკლესიებში, ან როდის სცემდით მღვდლებს პატივს, რომ ახლა გინდათ სცეთ. მეორე წამოდგება და იტყვის, ქალებს ნება მიეცით, კრებას დაესწრონო, რა უნდათ აქ ქალებს? ჩვენ პატივს ვცემთ ქალებს, მაგრამ იმათ თავისი ადგილი აქვთ, აქ კი ჩვენ საქმეებზე და რაღაც ანგარიშებზე ვლაპარაკობთ. არამც თუ ქალებს და იმ გარეშეებს,—აქ ვხედავ პრესსის წარმომადგენლებსაც, რა უნდათ აქ? რატომ თავს არ დაგვანებებენ? ეგენი მხოლოდ საქმეს ამწვავებენ...

საზოგადოება გულ-დასმით ისმენდა ამ სიტყვებს, მაგრამ ამ დროს წამოდგა ერთი სტუდენტი და საპასუხოდ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ საზოგადოება აღელდა, ასტყდა ჩოჩქოლი, ყვირილი, მიწყე-მოწყვა და იქ დამსწრე გარეშე პირები ძალით [illegible]დან გააძევეს...

კრება დღეისთვის გადაიდო.

პრესსა

მკითხველს, უეჭველია, ახსომება იალუს კონცესიების ისტორია, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის გამოწვევის ერთი მიზეზთაგანი იყო. სანამ ომი დაიწყებოდა, მანჯურიაში სტატს-სეკრეტარი ბეზობრაზოვი, კონტრ-ადმ. აბაზა და ბალაშოვი ჩავიდნენ, იალუს ნაპირებზე ტყე და რაღაც მადნები იყიდეს, კოლონია გააშენეს და მის დასაცავად კორეაში ჯარი გადაიყვანეს. ჯარი თანდათან მატულობდა. იაპონელები პროტესტს აცხადებდნენ, ადმირალი ალექსეევი, ბეზობრაზოვი და სხვანი კი ყურსაც არ იბერტყავდნენ და თანდათან კორეაში მიიწევდნენ. ამის გამო დიპლომატიური მიწერ-მოწერაც გაიმართა. ახლა კი ამ გენერლების საქციელს რუსეთის პრესსა სასტიკად ჰკიცხავს და მათს სამართალში მიცემას თხოულობს. როგორ მოხდა, კითხულობს, მაგალითად, „ბირჟ. ვედ.“, რომ

> ამ ვაჟბატონების სახიფათო საქციელი მინისტრებმა—ვიტტემ, ლამზდორფმა, კუროპატკინმა და სხვებმაც—კარგად იცოდნენ და ხმას კი არ იღებდნენ. ამ მინისტრებმა და უმაღლესმა მთავრობამაც იცოდა, რომ ბეზობრაზოვისა და აბაზას „თამაში“ ომს გამოიწვევდა, რომ იაპონელები ამის გამო აღშფოთებულნი იყვნენ, მაგრამ მაინც არ შეეძლოთ ამ ვაჟბატონების შეჩერება.

გაზეთი თხოულობს, დამნაშავენი სამართალში მიეცეთო:

> ბეზობრაზოვები—ნაყოფია იმ ბიუროკრატიისა, რომელმაც მაგრად შებოჭა ერის სურვილი, განათლება, სინდისი და აზრი... საჭიროა ამ ვაჟბატონების გასამარ[illegible] საჯარო, მკაცრი, პირუთვნელი, მიუდგომელი...

რუსეთი

1 ივნისს ბრესტ-ლიტოვსკში სალდათებმა და ხულიგანებმა ებრაელები აიკლეს. ჯერ-ჯერობით იციან, რომ მოკლულ იქმნა 6 და დაიჭრა 35 ებრაელი. ამბობენ, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ასამდეაო. გაძარცვეს 18 სახლი (რ. ს.).

◆ ვარშავაში გაასამართლეს პროპაგანდისტი მაკოვსკი, რომელსაც 10 წლით კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტეს (რ. ს.).

◆ იმავე სასამართლომ გაასამართლა ოთხი სხვა პროპაგანდისტი, რომელთაც თითო წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

◆ ვილნოში გაასამართლეს პროპაგანდისტი შობოვსკი, რომელსაც ოთხის წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტეს (რ. ს.).

◆ სარატოვის პოლიციის გამოცდის დროს აღმოჩნდა, რომ პოლიციელები იარაღს კარგად ვერ ხმარობენ. გუბერნატორის ბრძანებით, პოლიციელებს თოფის სროლას ასწავლიან (რ. ვ.).

◆ კიევის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა, ქალაქიდან 24 საათში გააძევეთ ებრაელი არტისტებიო. ბრძანება დიდის გულმოდგინეობით იქმნა შესრულებული (რ. ს.).

◆ 30 მაისს პეტერბურგში მუშების მიტინგი მოხდა. მიტინგს 6 ათასი კაცი დაესწრო.

◆ 24 მაისს ჰელსინგფორსში მუშებს უშველებელი დემონსტრაცია მოუხდენიათ. დემონსტრაციას 30 ათასი კაცი დაესწრო. ხალხი ბაირაღებითა და სიმღერით მიდიოდა. დემონსტრაციამ 6 საათს გასტანა. მუშები საარჩევნო უფლების გაფართოებას თხოულობდნენ (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის პოლიციას მეტად ფართო უფლებანი მისცეს და 50% ჯამაგირიც მოუმატეს (რ. ვ.).

◆ მთავრობამ იაფფასიან სამკითხველოებსა და სახალხო და სასკოლო ბიბლიოთეკებს გაზეთ „ბირჟ. ვედ.“-ს გამოწერა აუკრძალა (რ. ვ.).

◆ პეტერბურგში ვინმე სოლოვიოვმა ორი მეეზოვე მოჰკლა და სამი პოლიციელი და ერთი მეეზოვე სასიკვდილოდ დასჭრა (რ. ვ.).

◆ ლოძში 30 მაისს მუშებმა ორი ჟანდარმი მოჰკლეს (რ. ვ.).

კორესპონდენცია

ქ. ოზურგეთი, 3 ივნისი. როგორც გწერდით, 28 მაისს ნატანების გზაზე გაძარცვეს მაზრის უფროსი ქელბაქიანი. პოლიცია სასტიკად დაუწყდა მძარცველებს აღმოსაჩენად. თვით ქელბაქიანმა, 29 მაისს, ერთი სოფლელი ,დეხი, გვარად როყვა, ბაზარში შეიპყრო, რომელიც, მისი აზრით, ერთი მძარცველთაგანი უნდა ყოფ. 31 მაისს ბოქაული გვარიშანი სტრაჟნიკებითა და კაზაკებით ს. ახალსოფლის მცხოვრებთ ეწვია ამავე საქმის გამო გასაჩხრეკად, სადაც, როგორც გადმოგვცეს, კინაღამ საშინელი უბედურება არ დატრიალდა ამავე სოფლის მცხოვრებ თავ. კ. ნაკაშიძის ოჯახში! სტრაჟნიკები და ბოქაული შემორტყმიან თავად ნაკაშიძის სახლს და სროლა აუტეხნიათ. რამდენიმე ხანი გაგრძელებულა ეს სროლა და ბოლოს გამორკვეულა, ვინცა უთფილან და ან რისთვისაც მოსულან. როცა სროლა შეუწყვეტიათ, თავ. ნაკაშიძის სახლში შეცვივნულან ბოქაული, „სტრაჟნიკები“, კაზაკები თავიანთი აფიცრით და განუცხადებიათ: „შენ სახლში გვავს დამალული ვიღაცა ავაზაკი, გაქვს რაღაცა ქაღალდები, შენ ახლა სოფლის კრებაზე იყავ და უნდა გაგჩხრიკოთო“! შეუდგნენ საქმეს. ააფორიაქეს ყველაფერი. მარა, აბა, რას ნახავდნენ, რაც არ ჰქონდა-რა.

გაჩხრეკის შემდეგ წაუღიათ ორი თოფი და ერთი ხმალი. თავ. ნაკაშიძეს ამ საქმის გამო საჩივარი აღუძრავს. მაზრის უფროსის გამძარცველების აღმოსაჩენად სოფლელებმაც მიიღეს ზომები...

მეპურეთა გაფიცვა არ შეწყვეტილა და, მგონი, არც შეწყდება, რადგან პურის გამყიდველები მათ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებენ. მეპურეები ჯგუფებად ერთდებიან და პური თვითონვე უნდა გაჰყიდონ.

ვაჭრებისა და ნოქრებისაგან შემდგარმა კომისიამ, ექიმის თანადასწრებით, დაათვალიერა ნოქარ-შეგირდთა საცხოვრებელი ბინები, რომელთა უმეტესობა ჰიგიენურად ძალიან ცუდად მოწყობილი და უსუფთაო აღმოჩნდა.

დღისით ქუჩებში პატრულები აღარ დადიან. ქალაქის მოურავის თხოვნით, ჯარების უფროსმა ხალხს ნება მისცა ღამის ათ საათამდე ქუჩებში გამოსვლისა.

ჭინკაი.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 7 ივნისი, საღამოს 9 ს. და 16 წუთი. ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფასებლად არჩეულ იქმნენ ნიკოლოზ დგებუაძე და იური ფაღავა. ტფილისის განყოფილებისათვის აირჩიეს ჩხეიძე.

ქალაქის საბჭოს დღევანდელმა კრებამ დაადგინა: ქართლ-კახეთის სამღვდელოებას დეპეშით გამოეცხადოს თავისი ღრმესი სამძიმარი 31 მაისს ტფილისის სემინარიაში მომხდარ სამწუხარო ინციდენტის გამო..., რომელიც ივერიის ეკლესიის მსახურთ არაფრით არ დაუმსახურებიათ. ქართლ-კახეთის შეურაცხყოფილ სამღვდელოების პატივისცემის ნიშნად საბჭოს კრება მიმდინარე საქმეთა განსახილველად შემდეგისთვის გადაიდო.

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

7 ივნისი.

გლაზგო, 6 ივნისი. ამაფეთქებელ ნივთიერებათა მომმზადებელმა ნობელის საზოგადოებამ სხვადასხვა ამაფეთქებელ ნივთიერებათა დამმზადებელ ქარხნის დაარსების შესახებ. ხსენებულ საზოგადოების წარმომადგენელი 4 ივნისს ტოკიოს გაემგზავრა. ქარხნის შენობის აგებას ორ წელს მოუნდებიან.

ლონდონი, 7 ივნისი. „სტანდარტის“ აზრით, ხმები, ვითომ იაპონია ლონდონში აპირებდეს სესხის აღებას, უსაფუძვლოა.

გოძიადანი, 6 ივნისი. კერძო ცნობებით, იაპონელ ქვეითთა საკმაო ძლიერმა ჯარმა, არტილერიის დახმარებით, დღეს წინ წაიწია მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე და ცდილობდა ზარბაზნებითა და რუსებისთვის გვერდის შემოვლით რუსთა მოწინავე რაზმები განედევნა. დილის 4 ს. იაპონელებმა შეუტიეს შუბლის ჯარის მარჯვენა ნახევარს ქვეითების ძლიერ რაზმებით და დაიჭირეს სილუნჯანი, ჩანტუფუსა და დუნიაოხეს გზაზე.

პარიზი, 6 ივნისი. გენ. ლინევიჩმა სადარბაზოდ მიიღო „ჟურნალის“ კორესპონდენტი და უთხრა: ძლიერ მადონებსო ხმები დროებით შერიგების შესახებ. რუსების პოზიციები საუცხოვოა და მრწამს, რომ საბოლოოდ ჩვენ, რუსები, გავიმარჯვებთო.

ვაშინგტონი. იაპონიის ელჩმა აცნობა რუზველტს, რომ იაპონიის რწმუნებულთ შეუძლიანთ მოვიდნენ ვაშინგტონს 18 ივლისს და, თუ რუსეთი თანახმაა, დელეგატები იმ დროს დაიწყებენ ბჭობას. კასინი თეთრს სასახლეში მივიდა და აუწყა, მოლაპარაკება სწარმოებსო.

შანჰაი. იაპონელებისაგან განთავისუფლებული და პორტ-არტურიდან წამოსული წითელ ჯვრის გემი „მონგოლია“ ჩიფუს მივიდა და შანჰაიშიც გამოიელის. „კოსტრომა“ მანილას მიდის ენკვისტის ესკადრის დაჭრილ მეზღვაურთა წამოსაყვანად. იაპონიის კონსულმა ნანკინის ვიცე-კოროლს სთხოვა, ურიუს ესკადრას ნება მიეცით მდინარე იანძეზე ავიდეს ნანკინამდეო. ფიქრობენ, ამით შთაბეჭდილება მოახდინონ ჩინეთის შუა ადგილებში.

კალიში. დურგლების გაფიცვა ჯერ არ გათავებულა. როიალების ქარხნების პატრონები ვერ მოურიგდნენ ოსტატებს და ქარხნებსა ჰკეტავენ.

სარაძი. მეორე დღეა, რაც ხალხი თავისით სჯის დაჭერილ ქურდებს. ოთხ მათგანს ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირს არიან.

ხარკოვი. ინჟინერთა და ტეხნიკოსთა კრებამ აღიარა, ინჟინერთა ღირსების დამცირება იქმნება, თუ რომ შრომისა და კაპიტალის უთანხმოების დროს შეიარაღებულ ძალას მივმართოთო.

პიატიგორსკი. 2 ივნისს დაწყებული ნოქრების გაფიცვა საერთო არ იყო, რადგან ნოქრების ნაწილი გაფიცვის მომხრე არ აღმოჩნდა. ნოქრები საქმეს შეუდგნენ, თუმცა შესამჩნევი დაკმაყოფილება არ მიუღიათ.

მიტავა, 6 ივნისი. წუხელის გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის თანაშემწემ როტმისტრ ერჟემსკიმ თავი მოიკლა.

მინსკი. დაბა სტოლბცში ორი როტა ჯარი გაგზავნეს, რადგან მის მიდამოებში მოძრაობა დაიწყეს. მინსკში მოვიდა კიდევ დრაგუნთა ერთი ესკადრონი აქაურ პოლიციის გასაძლიერებლად.

ვარშავა, 5 ივნისი. გუშინ საღამოს პოლიციელმა აივორსკიმ შენიშნა, რომ უცნობი კაცი კედელზე რაღაც ქაღალდს აკრავდა, და მიუახლოვდა. უცნობმა ორჯელ ესროლა რევოლვერი, მოჰკლა პოლიციელი და მიიმალა.

პეტერბურგი, 6 ივნისი. გარდაიცვალა [illegible] ნაფიცი ვექილი მირონოვი.

ლონდონი. საადმირალო [illegible] გუშინ [illegible] ინგლისის კრეისერები „სოფფოლკ“ [illegible] და პორტ-საიდს გაემგზავრ[illegible] გამოვიდნენ მალტ[illegible] [illegible] დანიშნულება ამ გემებისა არ ნინო. თვით [illegible] ფიქრობენ, ამ გემებს დავალებული აქვთ მოიყვანონ რუსების მიერ [illegible] კრეისერები, რომელთაც ამას წინად ინგლისის სავაჭრო გემები ჩასძირეს. აღმოსავლეთ ინდოეთის წყლებსა და მეწამულ ზღვაში მყოფ ინგლისელთა ფლოტის დივიზიების უფროსთ დეპეშით გაუგზავნეს საგანგებო ინსტრუქციები.

ბუდაპეშტი, 6 ივნისი (კორ. ბიურო). იმპერატორისა, საიმპერატორო სახლობისა, გერმანიის იმპერატორისა, დიდ-ბრიტანიის და ესპანიის მეფეთა წარმომადგენლებისა და დიდძალ ხალხის თანადასწრებით მიწას მიაბარეს ერცჰერცოგის იოსების ცხედარი.

ათინა, 6 ივნისი (ჰავასი). რომა დიდხანს ესაუბრა მეფეს და ბოლოს უარი განაცხადა ახალ სამინისტროს შედგენაზე. გონებენ, ახალ სამინისტროს შედგენას სკლდის მიანდობენო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

ქალაქის [illegible]
ქუჩა, სახელმწიფო სახლი. [illegible] 12 ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

უფასო [illegible] სულით ავადმყოფთათვის, ზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი. [illegible]

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყო[illegible] იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების მეორე საზოგადო წევრთა კრება დანიშნულია 19 ივნისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მატერიალურ მდგომარეობის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობასთან.

კრება დაიწყება შუადღის 11 საათზე, დამსწრეთ უნდა წარადგინონ საწევრო ბილეთები.

შენიშვნა: ვისაც თვიური საწევრო ფული არ შეუტანია, შეუძლიანთ შეიტანონ კრების დღეს.
(3—უ—2).

კანტორა

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა“ იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—10)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისათვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—1)

წიგნის მაღაზია **„ცოდნა“**-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლისად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 [illegible] ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა [illegible] მწერალთა 75 კ., [illegible]თაშვილისა 50 კ., გიორგი წერ[illegible] მირთმევა 40 კ., საქარ[illegible] ნინოშვილისა 30 კ., [illegible] კ., თამარ მეფის დიდი სურათი ჯვრით თამარ. [illegible] 6 კაპ. [illegible] 1 მ. 50 [illegible] **სხვა ყოველგვარი წიგნები.**

[illegible]სამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“. [illegible] ნიკო მერკვილაძე. (20—4)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ბორჯომში ქირით იძლევა ახლად შეკეთებული, ავეჯით მოწყობილი, ორ-სართულიანი საავარაკო სახლი, რომელიც ი. ს. აბესალომოვისა იყო, ეხლა კი ქალ. ტფილისს ეკუთვნის. ქვემო სართულში 5 ოთახია, ზედაში 4 ოთახი. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში, ყოველდღე, გარდა უქმეებისა, დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე. (3—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 7 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.